სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 16 აგვისტო 2000 №156 (1178) | ფასი 50 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გმადლობთ, ნახვამდის!

უთხრეს სერგო კოტრიკაძეს. „ვიტ ჯორჯიას“ კი იერუსალიმში ვლადიმერ ხაჩიძე წაიყვანს



2000 წლის 10 აგვისტო. „ვიტ ჯორჯია“ — „ბეითარი“ 0:3. სერგო კოტრიკაძის თავკაცობისას ვლადიმერ ხაჩიძე ჩრდილში იდგა

საქართველოს ვიცეჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი სერგო კოტრიკაძე თანამდებობიდან გადადგა.

10 აგვისტოს „ვიტ ჯორჯია“ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში ისრაელის „ბეითართან“ 0:3 დამარცხდა. ამის შემდეგ სერგო კოტრიკაძემ გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა.

„სარბიელი“ გუშინ „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტს, გურამ რუხაძეს დაუკავშირდა. მან კომენტარისგან თავი შეიკავა, თუმც კლუბის პრესატაშესთან დავკავშირა — მომხდარის თაობაზე მალხაზ კაკაურიძემ კლუბის სახელით ოფიციალური განცხადება გააკეთა:

— ბატონმა სერგომ გუნდიდან წასვლა ისურვა. განაცხადა, რომ მის გაძღოლას ვერ შეძლებს. შეხვდა ფეხბურთელებს, მადლობა გადაუხადა მათ და ყველას დაგვემშვიდობა. კოტრიკაძეს კლუბის პრეზიდენტიც ესაუბრა, მან მადლობა მოახსენა მწვრთნელს გუნდში გაწეული მუშაობისთვის და ყველაფერი ამით დასრულდა. ასე რომ, დღეიდან „ვიტ ჯორჯიას“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — გვითხრა კაკაურიძემ.

კლუბის გადაწყვეტილებით, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ვლადიმერ ხაჩიძე, რომელიც დღემდე გუნდში მეორე მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებდა. იგი 1997 წელს დაარსებული „ვიტ ჯორჯიას“ რიგით მეოთხე მთავარი მწვრთნელია. სერგო კოტრიკაძემდე გუნდს სპარტაკ არჩვაძე და ჯემალ მახარაშვილი თავკაცობდნენ.

თავად ხაჩიძისთვის „ვიტ ჯორჯია“ მესამე გუნდია: ის ადრე ხაშურის „ივერიას“, შარშანდელი ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოს კი „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად თბილისის თსუ-საც წვრთნიდა.

ხაჩიძეს და „ვიტ ჯორჯიას“ სამ დღეში ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი ელით გორში „დილასთან“, 24 აგვისტოს კი უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩის გასამართად თბილისში ვიტელთა 3:0 მძლეველ იერუსალმის „ბეითარს“ უნდა ესტუმრონ.

ბაატა ძვანტალიანი

ფეხბურთი მოკვდება!

ფიგუსაც და ბევრ სხვა ვარსკვლავსაც საკითხავი გახდომია: ჩვენ უნდა ვდოთ ახლა სხვა ვარსკვლავს?

ბედის უკულმართობით ნაღდი ფეხბურთის ცოცხლად ხილვას მოწყურებული ქართველები ევროპისკენ ვიყურებით და საკუთარი უხეირო ჩემპიონატის მქონენი სერია A-თი, პრიმერა დივიზიონით თუ პრემიერლიგით ვიკლავთ ჟინს. საფრთხე გველის! ეს ყველაფერი შესაძლოა, ტკბილ მოგონებად გვექცეს, რადგან ასობით ევროპულ კლუბს ისეთივე შავი დღე ელის, როგორშიც ჩვენი „დინამოა“. ოღონდ ამის მიზეზი იქ, ევროპაში, სხვაა...

დღეს, როცა მთელი ევროპა ადამიანის უფლებათა დაცვაზე ლაპარაკობს, არსებული საკონტრაქტო-სატრანსფერო წესები შუასაუკუნეების გადმონაშთადაც მოჩანს...

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ რივალდო მივიდა „ბარსელონას“ პრეზიდენტთან და განუცხადა, ხვალიდან „მილანში“ გადავდივარ და დასამშვიდობებლად შემოგიარეთო. ხუან გასპარს თავისი ვარსკვლავის სიტყვები სასაცილოდ არ ეყოფა. მას ხომ რივალდო დაბმული ჰყავს კონტრაქტით, რომლის დარღვევისთვის დათქმული ჯარიმის გადამხდელი კლუბი ქვეყნად არ მოიძებნება.

მაშ ვინ არის რივალდო? კაცი, რომლისთვისაც ბურთთან თითოეულ შეხებას ზღაპრული ჰონორარები მოაქვს. მას მუდამ თაყვანისმცემელთა უზარმაზარი არმია დაჰყვება. რეპორტიორებიც გაფაციცებით უსმენენ, რათა რივალდოს მიერ წარმოთქმული არცერთი სიტყვა არ დაიკარგოს. მაგრამ მეორე მხრივ მას იმის უფლებაც არა აქვს, რომ სამსახური გამოიცვალოს. და ისევ ივივე კითხვა, ვინ არის რივალდო? ფეხბურთის ჯადოქარი, მაგრამ ცხოვრებაში უუფლებო? რაღაც პარადოქსი გამოდის. აქ რივალდოს ნაცვლად შეგვიძლია, ნებისმიერი ფეხბურთელის სახელი ვთქვათ.

ასეა ახლა. შესაძლოა, მალე სხვაგვარად იყოს და მსოფლიოში ყველა როვილდოსა თუ ზიდანის კონტრაქტები ფარატინა ქაღალდად იქცეს. „ფეხბურთს სრული კრახი ელის“ — აცხადებს ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენი. ცხადია, მან იცის, რასაც ამბობს...

იხილეთ მეექვსე გვერდი

3 ამვეთია დინამოში და დანიაში

მიხეილ ამვეთიამ „ალანიიდან“ „ლიუნგბიუმდე“ თბილისის „დინამოში“ შეიარა

7 ალფონსო ბარსელონელია

ჰესპი კი სამშობლოში დაბრუნდა

9 ისტორიაში ჩაპარგული დიდებულება

100 იუბილარი

მიონხენგლადბახის „ბორუსია“ ასი წლისაა

10 ჩემპიონმა კაპიტანი წაიყვანა



ვახტანგ ნაცვლიშვილი ბასკოში გადავიდა

„სლოვანი“ — „პუხოვი“ 3:1.
მასპინძელთა ნახევარმცველი სედლაკი (ბურთით) პასებითა და გოლით გამოირჩა

SLOVENSKA REPUBLIKA

ფავორიტ სლოვანის მხიარული რეპეტიცია

ზედიზედ მეხუთედ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერმა ბრატისლავის „სლოვანმა“. მასპინძლებმა „პუხოვი“ 3:1 დაამარცხეს და თბილისში „ლოკომოტივთან“ უეფას თასის საპასუხო მატჩამდე საჭირო რეპეტიციაც გაიარეს.

„სლოვანის“ მწვრთნელმა სტანისლავ იარაბეკმა აქცენტი დაცვასა და კონტრშეტევებზე გადაიტანა. ანგარიშიდანაც ჩანს, მასპინძელთა ტაქტიკამ გაამართლა. „პუხოვთან“ მატჩის შემდეგ კი ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბრატისლაველები თბილისშიც ასე ითამაშებენ.

ამ მატჩში ძალიან კარგად იყო ორგანიზებული „სლოვანის“ დაცვა. პეცკო, ტიმკო და ჰრნჩარი ერთმანეთს გონივრულად აზღვევდნენ და ზონას არც განაპირა ნახევარმცველები ტოვებდნენ, ისინი შეტევაშიც ხშირად ერთვებოდნენ.

პირველი გოლი მასპინძლებმა 39-ე წუთზე გაიტანეს. ამ მატჩში ერთ-ერთმა საუკეთესომ, მესაროშმა ფლანგიდან ჩააწოდა და იანჩულა ბურთს საჭირო ადგილას დახვდა.

შესვენების შემდეგ უფრო თვალნათლივ გამოიკვეთა, რომ ბრატისლაველები კონტრშეტევებზე თამაშობდნენ, ისინი მეტოქეს თავიანთი კარისკენ იტყუებდნენ და როგორც კი მცველები ბურთს მოიგდებდნენ, უმეტეს შემთხვევაში სედლაკს აწვდიდნენ, ის კი — მესაროშს. „სლოვანმა“ მეორე გოლი 56-ე წუთზე გაიტანა, ბალიშის პასის შემდეგ სედლაკმა ულამაზესი დარტყმით მეკარე სტეჭელს შანსი არ დაუტოვა. სამ წუთში კი „ტეჰენლე პოლეზე“ შეკრებილი „სლოვანის“ ქომაგები ისევ იანჩულამ გაამხიარულა: მესაროშის დარტყმული სტეჭელმა რომ მოიგერია, იანჩულამ ყველას დაასწრო.

თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე კი სტუმარმა ლემბაკოალიმ პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა.

ახლა „სლოვანს“ რთული მატჩი ელის თბილისში, „ლოკომოტივთან“. ფავორიტები, რა თქმა უნდა, ბრატისლაველები არიან, მაგრამ საქართველოში მაინც სიფრთხილეა საჭირო.

„სლოვანის“ შემადგენლობა „პუხოვთან“: ბერნადი, პეცკო, ტიმკო, ჰრნჩარი, ბალიში (შლაჰორი 79), პანჩიკი (კრისი 61), გიოგი, სედლაკი, იეჟიკი, მესაროში, იანჩულა (კოზმერი 87).

სლოვაკეთის ჩემპიონატის ბომბარდირების სიაში ექვს-ექვსი გოლით პირველები „სლოვანის“ ფორვარდები მესაროში და იანჩულა არიან. „სლოვანის“ ხუთ მატჩში 14 გოლიდან ორიც ტიმკომ და სედლაკმა გაიტანეს.

მარიან კორბელი
„სლოვენსკა რეპუბლიკა“

ბეითარი — ჰაპოელი: შთამბეჭდავი 3:1

კვირას, ისრაელის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში იერუსალიმის „ბეითარმა“ საკუთარ, „ტედის“ სტადიონზე 3:1 დაამარცხა ფეთაჰთიქვას „ჰაპოელი“.

პირველი ტაიმი ძირითადად ერთით იყო დასამახსოვრებელი: „ჰაპოელის“ მცველებით გარშემორტყმული „ბეითარის“ თავდამსხმელი ალონ მიზრახი ხშირად საკუთარი ინიციატივით ეცემოდა მინდორზე ჯარიმის დანიშვნის მოლოდინში.

შესვენებამდე ერთადერთი სახიფათო მომენტი ასეთი იყო: ჯოვანი როსომ საჯარიმოში პასით ტომას შანდორი მოძებნა, მან ნირ სივილიასკენ ჩააწოდა, მაგრამ კართან ახლოს მდგომი თავდამსხმელი ბურთს ვერ მისწვდა.

51-ე წუთამდე მეტოქენი ძალიან უხეშობდნენ, საჯარიმო დარტყმაც მრავლად დაინიშნა, მერე კი ვითარება შეიცვალა. მიზეზი ფლანგებზე მცველთა როლის შეცვლა გახლდათ.

დავიდ ამსალემსა და ფელიქს ჰალფონს დაცვითი ფუნქცია გაუნახევრდათ და ფლანგებზე მათმა აქტიურობამ „ბეითარს“ დაცვიდან შეტევაზე სწრაფი გადასვლა შეაძლებინა.

ტაქტიკის ცვლამ შედეგი მალე გამოიღო. სივილიამ როსოს პასი პენალტის ნიშნულთან მიიღო, ფეთაჰთიქველთა მეკარე რაფი კოენი მის შესახვედრად დაიძრა, მაგრამ სივილიამ მიზრახის გადააწოდა და მანაც 52-ე წუთზე „ბეითარი“ დააწინაურა.

სანამ „ბეითარი“ ამ გოლს ზეიმობდა, „ჰაპოელის“ მწვრთნელმა ელი კოენმა შეცვლები გამოიყენა. სწრაფი ფორვარდი ნივ ტალი გოტი კაკუნით, მიხაელ ზანდბერგი კი ბორიგორ პერკოვიჩით შეცვალა. წუთში პალ ჰადმა ანგარიში მას შემდეგ გაათანაბრა, რაც „ბეითარის“ დამდგარ დაცვას სწრაფად ჩაურბინა.

„ბეითარის“ მწვრთნელის, ელი გაუტმანის რეაქციამ არ დააყოვნა: მან სივილია დაცვაში უფრო მარჯვე იოსი აბუკისით შეცვალა.

„ბეითარის“ თამაში ნახევარდაცვაში მტკიცედ ორგანიზებული გახდა. იერუსალიმელები ხელახლა მას შემდეგ დაწინაურდნენ, რაც უნგრელმა ნახევარმცველმა იშტვან ჰამარმა მიზრახის მიაწოდა, ის კი „ჰაპოელის“ მეკარე რაფი კოენმა წააქცია.

აბაუკისმა ეს პენალტი 63-ე წუთზე გაიტანა, „ბეითარი“ დაწინაურდა, „ჰაპოელი“ კი გატყდა და მასპინძლებმა ორი წუთის შემდეგ იოლად გაზარდეს სხვაობა: ჰალფონმა ელი კოენის ექსპერიმენტს, ნახევარმცველ ზანდბერგის მარცხენა მცველად გამწესებას დასცინა, მას მარჯვნიდან შემოურბინა და მიზრახისკენ ისეთი ჩააწოდა, ამ უკანასკნელს შეტევის დაგვირგვინება არ გასჭირვებია.

ზაიელ ბენ ეფრაიმი,
ოფერ რონენ აბელსი
„იერუსალიმ პოსტი“, 14 აგვისტო

— ნუგზარ კბილაშვილის ფოტო

გია ტყებუჩავა

— ბადრი კბილაშვილის ფოტო

ელდარ გვასალიამ „კოლხეთში“ თამაში იუარა

კოლხეთი ფედერაციაში

გუშინ ფოთის „კოლხეთის“ ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა თბილისში ჩამოვიდა, რათა ფეხბურთის ფედერაციაში „კოლხეთის“ ახალი საჩემპიონატო განაცხადი და საწევრო თანხა — 22 000 ლარი წარედგინა. მოახლოებული XII პირველობისთვის „კოლხეთი“ საქართველოს ათგზის ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ შემდეგ მეორე გუნდია, ვინაც ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტში ჩემპიონატში სამონაწილეო ფორმალობები მოაგვარა.

სანამ იმ ფეხბურთელთა ვინაობას გამცნობთ, რომლებიც „კოლხეთის“ ღირსებას XII ჩემპიონატში დაიცავენ, გეტყვით, რომ მთავარ მწვრთნელ გია ტყებუჩავას საკმაოდ გადახალისებული გუნდი დარჩა, ამიტომაც მწვრთნელი შეფიქრიანებული და გულდაწყვეტილია, როგორი საქმეა — „კოლხეთი“ ძირითადი შემადგენლობის ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა. „გულდასაწყვეტია მათი წასვლა. ნამდვილად კარგი გუნდი მყავდა. ისინი რომ შეგვენარჩუნებინა, ვინ იცის, იქნებ ჩემპიონობისთვისაც გვებრძოლა. ახლა კი მთავარ, მიზანი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრაა“ — გვითხრა წუხელ გია ტყებუჩავამ.

მივყვეთ თანმიმდევრობით. „კოლხეთი“ ოფიციალურად დატოვეს ნახევარმცველმა გოჩა ტრაპაიძემ, რომელიც ახლა სიმფეროპოლის „ტავრიაში“ თამაშობს. მცველმა მიხეილ ქობულაძემ და მეკარე ზურაბ ქვაჩახიამ ჯანი კარნევალის „ბათუმში“ თამაში ისურვეს, ნახევარმცველმა ჯონი შალამბერიძემ, რომელიც საქართველოს ჩემპიონმა ქუთაისის „ტორპედომ“ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ საპაექროდ მიიწვია და იქვე დაიტოვა, აგრეთვე თავდამსხმელმა ელდარ გვასალიამ და მცველმა გიორგი დავითნიძემ.

გვასალიას თავად უთქვამს კლუბის ხელმძღვანელობისთვის, „კოლხეთში“ არ ვითამაშებო, რასაც გუნდის უფროსობა გაგებით მოეკიდა, ელდარს ხომ დიდი ღვაწლი მიუძღვის, მაღლობის მეტი რა გვეთქმის. ამიტომ, თუ მან რომელიმე გუნდისგან ხელსაყრელი წინადადება მიიღო, პრობლემას არ შევუქმნიოთ. რაც შეეხება გიორგი დავითნიძეს, „ჯორჯომ“ გასულ შაბათს რუსეთის უმაღლესი დივიზიონი დაჭაშნიკა, ელისტის „ურალანის“ შემადგენლობაში მოსკოვის „დინამოსთან“ საშინაო მატჩში ჩვეულად ითამაშა და მწვრთნელისა და სპეციალისტებისგან კარგი შეფასებაც დაიმსახურა. დიახ, დავითნიძე „ურალანშია“, „კოლხეთმა“ ფეხბურთელი 30 ნოემბერამდე იჯარით გაანათხოვრა. შეთანხმება კი ასეთი ყოფილა, დავითნიძე პირველ ორ შეხვედრას ითამაშებს „ურალანში“, შევხედავთ, თუ მოგვეწონა, თანხაზეც მერე ვილაპარაკებთო. ერთი სიტყვით, ასეა. „კოლხეთი“ ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა, სანაცვლოდ ოთხი მიიწვია, რამდენიმე კი ფარმ-კლუბიდან, „კოლხეთი 2“-დან აიყვანა, თუმცა რამდენად შეცვლიან ახალწვეულნი გუნდიდან წასულ ლიდერებს, არავინ იცის.

ზემოთნახსენები ოთხი ფეხბურთელიდან ორს წინა ჩემპიონატშიც უთამაშია, ორი კი რეგიონალიგელია. ესენი არიან: „ტორპედოს“ მცველი ირაკლი მაღლაკელიძე, წყალტუბოს „სამგურალის“ ლიბერო ლაშა ფრანგიშვილი, „ცხუმის“ ახალგაზრდა თავდამსხმელი გიორგი ჭანტურიძე და „ცხინვალის“ ნახევარმცველი ბექა ჩიტაია.

„კოლხეთმა“ ფედერაციაში 27 ფეხბურთელის სია წარადგინა, რომელთაგან ოთხი — ბიძინა ჩემია, ბექა ჩიტაია, რომან ახალკაცი და ლევან შავგულიძე ფარმ-კლუბშიც გაიფორმა. გავითვალისწინეთ მათი ახალგაზრდული ასაკი და სათამაშო პრაქტიკა რომ არ მოაკლდეთ, „კოლხეთი 2“-შიც დავამტკიცეთ, მთავარ გუნდში კი უპრობლემოდ ვთამაშებთო.

„კოლხეთს“ XII ჩემპიონატის პირველი მატჩი 19 აგვისტოს თბილისში, „სინათლეზე“ „მერანთან“ უწევს. ფოთელები 18-ში გამოემგზავრებიან დედაქალაქში და როგორც ადრე, ახლაც სასტუმრო „მესაზღვრეში“ დაბინავდებიან. საკონტროლო-ამხანაგური მატჩი არ ექნებათ. რაღა დარჩა, სამი დღეც და...

...ვახტანგ ხაინდრავამ საშეჯიბრო კომიტეტს იმ ფეხბურთელთა სია გადასცა, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ.

მეკარეები: მამუკა გვასალია, ბიძინა ჩემია;

მცველები: კახაბერ გოროზია, ვალერი ტორჩინავა, ამირან კედელაშვილი, ელგუჯა პაპავა, ირაკლი მაღლაკელიძე, ლაშა ფრანგიშვილი, გაგა ჩიტაია, ზაზა ბურკვაძე;

ნახევარმცველები: ბექა ჩიტაია, ზაველ ღაღანიძე, თამაზ კიკლიაშვილი, გელა ფანჩულიძე, დავით თედეევი, გოჩა ჭანტურია, ლაშა თოფურია, თემურ ჯღარკავა, ლომინო თოფურია, ზურაბ ლეჟავა;

თავდამსხმელები: გოგიტა ქუნთელია, რომან ახალკაცი, დავით ხუჭუა, ლევან შავგულიძე, გიორგი კრასოვსკი, გიორგი ჭანტურიძე და დავით კვირკველია.

გიორგი ვაშაკიძე

მიხეილ აშვეთია „დინამოს“ დროებით დაუბრუნდა

აშვეთია დინამოში და დანიაში

ვლადიკავკაზის „ალანიადან“ გაურკვეველი მიზეზების გამო წასული მიხეილ აშვეთია კარიერას დანიის „ლიუნგბიუში“ გააგრძელებს, ეს უკვე გადაწყვეტილია. ქართველი თავდამსხმელი დანიიდან რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა, ოქტომბრის შუა რიცხვებში უკანვე გაემგზავრება და „ლიუნგბიუსთან“ კონტრაქტს გააფორმებს. ის მწვრთნელს ამის თაობაზე უკვე ესაუბრა, როცა დანიაში გახლდათ და ვარჯიშებისას იქურებს თავი მოაწონა.

ოქტომბრამდე კი მიხეილ აშვეთიამ შესაძლოა თბილისის „დინამოში“ ითამაშოს, ფორმის შესანარჩუნებლად დროებით აქ დარჩენა სურს. არც „დინამოა“ წინააღმდეგი. ამასობაში დანიის ჩემპიონატის პირველი წრეც დასრულდება და იქაურ კლუბებს განაცხადების გაახლების საშუალება მიეცემათ.

მამუკა წერეთელი კი, რომელიც დანიაში აშვეთიასთან ერთად ჩავიდა, „ლიუნგბიუს“ მწვრთნელმა არ დაიწუნა, მაგრამ ალბათ იგი კვლავ „ალანიაში“ ითამაშებს.

კობა ინასარიძე

ქართველებთან სათამაშოდ რუმინელებს დორინელ მუნტეანუ გამოუძღვება

სულ ახლახან რუმინეთის ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ლადისლაუ ბოლონი ქომაგებს შეეპირდა, შევეცდები, გუნდში გეორგე ჰაჯი დავაბრუნო. როგორც ჩანს, ბოლონიმ სიტყვა საქმედ ვერ აქცია და... რუმინეთის ნაკრების ახალ კაპიტნად გერმანული „ვოლფსბურგის“ შემტევი ნახევარმცველი დორინელ მუნტეანუ აირჩიეს.

„გეორგე ჰაჯის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ დორინელი გუნდის უპირობო ლიდერი გახდა. თანაგუნდელებს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონიათ, ასე რომ, დორინელ მუნტეანუ რუმინეთის ეროვნული ნაკრების ახალი კაპიტანი იქნება“ — განაცხადა გუშინ ლადისლაუ ბოლონიმ.

მოგეხსენებათ, რუმინეთი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს თანაჯგუფელია. რევაზ ძოძუაშვილისა და დავით ყიფიანის სამწყსოს დორინელ მუნტეანუ კაპიტნის რანგში დაუხვდება, მანამდე კი... მისი ნათლობა სავარაუდოდ დღეს მოხდება, ჩვენი მომავალი მეტოქე ბუქარესტში პოლონეთის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება.

ერთი სიტყვით, გეორგე ჰაჯის დიდი სანაკრებო ეპოქა უკვე წარსულია, ახლა დორინელ მუნტეანუს დროა.

გიორგი ვაშაძიძე

სტადიონი სტადიონი ყოფილა

„ეროვნული“ სტადიონის და თბილისის „დინამოს“ პრობლემების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მუშაობას ბოლო არ უჩანს. კომისიის წევრები საბოლოო დასკვნაზე ვერ თანხმდებიან.

ცოტა ხნის წინ „სარბიელმა“ კომისიის ოპოზიციონერ წევრთა საბოლოო დასკვნის ვარიანტი შემოგთავაზათ, თუმც, როგორც ჩანს, იგი გვარიანად შეიცვლება. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ რამდენიმე დღის წინ „ეროვნული“ სტადიონის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის გივი მაზიაშვილის თხოვნით, სტადიონი დაათვალიერა სახელმწიფო კომისიის ოპოზიციონერთა წარმომადგენელმა, პრეზიდენტის მრჩეველმა თემურ მირიანაშვილმა. სტადიონის საფუძვლიანი დათვალიერების შემდეგ მირიანაშვილი აღტაცებული დარჩა:

— არც ისე ყოფილა საქმე, როგორც გვეგონა, „ეროვნული“ „კამპ ნოუ“ არ არის, მაგრამ აქ რიგი სამუშაოები წარმატებით ჩატარებულა, სავარჯიშო დარბაზი საუცხოოდ არის მოწყობილი, ტუალეტებიც თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს, გარე ვაჭრობა ფაქტობრივად აკრძალულია. ეს ყოველივე კი უიმედობის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა. ასე რომ, სტადიონთან დაკავშირებული საბოლოო დასკვნა საფუძვლიანად შეიცვლება. რაც შეეხება „დინამოსთან“ დაკავშირებულ დასკვნას, იგი უცვლელად დარჩება — გვითხრა მირიანაშვილმა.

სახელმწიფო კომისიის მორიგი სხდომა დღეს 16 საათზე დაიწყება სახელმწიფო კანცელარიაში. კომისიის წევრები მორიგ სხდომას ისევ საბოლოო დასკვნის მიღებას მიუძღვნიან.

პაატა ძგანტალიანი



თემურ მირიანაშვილი

ჯერლი Perla

პ ე რ ლ ა

ჯერლი Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

რუსთავის გორდა დემარშით იმუქრება

ბურაგ დულანდაგველის ფოტო

იასონ ალადაშვილი

XI ეროვნული ჩემპიონატის პირველსავე ტურში რუსთავის „გორდასთან“ დაკავშირებული სკანდალი ალბათ გემახსოვრებათ. „მეფოლადეებმა“ „ტორპედოსთან“ მატჩამდე რამდენიმე წუთით ადრე გადაიხადეს ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა. მაშინ რუსთაველებს მშველელად ქალაქის მერია გამოუჩნდა. მას მერე ერთი წელი გავიდა. საწევრო თანხა ერთიორად გაიზარდა, „გორდას“ საქმე კი უკან-უკან წავიდა.

დღეს კი უხელფასობით და უპატრონობით გატანჯული მწვრთნელ-ფეხბურთელები, დემარშით იმუქრებიან. თუ დავალიანებას არ გაგვისტუმრებენ, პირველ ტურში „ბათუმთან“ სათამაშოდ არ გავალთო — ამბობენ გორდელები.

„გორდას“ პრობლემები მით უფრო რეალურია, რადგან ამას წინათ გუნდმა საბოლოოდ დაკარგა სოლიდური სპონსორი ს.ს. „აზოტის“ სახით. ქალაქის მერიის მიერ წამოწყებული სტადიონთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი „გორდასთვის“ ცუდად დასრულდა. მოპასუხე მხარემ საოლქო სასამართლოს განაჩენი წარმოადგინა, რის საფუძველზეც სტადიონს კანონით გათვალისწინებულ ნორმებში ადევს ყადაღა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „გორდას“ და მის სპონსორობის მსურველ ნებისმიერ ორგანიზაციას „ფოლადზე“ არავითარი უფლებები არ ექნება, ამიტომაც აიღო „აზოტმა“ ხელი გუნდის პატრონობაზე. ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე კი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი და ფეხბურთელები დავალიანების გასტუმრებას ითხოვენ, მაშინ, როცა ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის (22 ათასი ლარის) გადახდის პერსპექტივაც არ ჩანს. რა შედეგი მოჰყვება „გორდას“ ერთგვარ ულტიმატუმს, რამდენიმე დღეში გამოჩნდება. იმ შემთხვევაში, თუ რუსთაველები „ბათუმთან“ არ ითამაშებენ, გორდელები ჩემპიონატიდან მოიხსნებიან, ეს კი დიდი სირცხვილი იქნება რუსთავისთვის და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის.

პაატა კვანტალიანი

უცხოეთიდან ხელდამშვენებული დაბრუნება თენგიზ სულაქველიძის (მარჯვნივ) შეგირდებისთვის უცხო არ არის

პალანგა პირველი გამოცდაა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ემზადება საქართველოს თექვსმეტწლამდელთა ნაკრები.

ამას წინათ სფფ-ის ძალისხმევით თენგიზ სულაქველიძის გუნდს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის საშუალება მიეცა და ნაკრები გუშინწინ მოსკოვს გაფრინდა. რუსეთის დედაქალაქიდან ქართველთა 22-კაციანი დელეგაცია ლიტვის ქალაქ პალანგაში ჩავიდა, სადაც 16-23 აგვისტოს ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი იმართება. ტურნირი შვეიცარული სისტემით ჩატარდება და ქართველ თექვსმეტწლამდელთა მეტოქეები რუსი, ლიტველი, მოლდოველი, ლატვიელი და ესტონელი თანატოლები იქნებიან.

თენგიზ სულაქველიძემ პალანგაში 18 ფეხბურთელი წაიყვანა: *მეკარეები: მუჯრიშვილი, გერგედავა (თ. სულაქველიძის სახელობის აკადემია), თოთლაძე (ბათუმი); მცველები: ექონია, ჭელიძე, ბელელური (თ. სულაქველიძის სახელობის აკადემია), ახალაია (მერანი 91), თაგზარაშვილი (ვაკე 91), ნახევარმცველები: ქარსელაძე, მალიჩავა, ერემეიშვილი (თ. სულაქველიძის სახელობის აკადემია), დარსანია (მერანი 91), ჭიღლაძე (მთვარის გლობუსი); თავდამსხმელები: მარცვალაძე, ბურჯანაძე (თ. სულაქველიძის სახელობის აკადემია), მაჭავარიანი (მერანი 91), მოდებაძე, ჩოხელი (ოლიმპიკი).*

თენგიზ სულაქველიძემ ნაკრების სელექცია ახლახან დაასრულა და პალანგის ტურნირი ახალი თექვსმეტწლამდელებისთვის ფაქტობრივად პირველი სერიოზული გამოცდა იქნება. ქართველი ყმაწვილები პირველ მატჩს დღეს რუს თანატოლებთან გამართავენ.

პაატა კვანტალიანი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (მილანი), მალლაკელიძე (კოლხეთი), გოგიაშვილი, გრ. ჭანტურია (თავისუფალი აგენტი), მეგრელაძე, (ტრანსფერზე არიან)	გუჩუა, სიჭინავა, გაბიდაური (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), სტურუა (სამგურალი)	სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (ოუგოსლავია) 0:4, 2:0, თსუ 1:0, დილა 4:0, 2:0, ბათუმი 1:0
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (თსუ), თაყაძე (მერიფი, მოლდოვა), ჭილლაძე (ს.ა. იბერია)	თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, პანზა 0:1, ლიუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენჰაფენი (რვაეე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1, ბეითარი (ისრაელი) 0:3
	დინამო *რევაზ არველაძე*	ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), გუჩუა, სიჭინავა, გაბიდაური (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), მინაშვილი (მერანი), ხუციშვილი (?)	აშვეთია (ალანია, რუსეთი), კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბათიაშვილი, ტყებუჩავა, ჩოგაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჟანიძე (არ თამაშობდა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, შუქურა 2:0, ლოკომოტივი 1:0, 2:3, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 2:0
	ბათუმი *ჯანი კარნეკალი*	მ. მახარაძე (კარიერა დასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?)	ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მეავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1, შუქურა 2:1, ტორპედო 0:1
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (ურალანი, რუსეთი), ე. გვასალია (ტრანსფერზეა)	მალლაკელიძე (ტორპედო), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), ფრანგიშვილი (სამგურალი), ჭანტურიძე (ცხუმი), კრასოვსკი, თედეევი, გ. ჭანტურია, ლეფავა (კოლხეთი 2)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, ბათუმი 1:2, გურია 3:0, 3:1
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?).	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაქრაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 3:1, მილანი 0:2, სამგურალი 2:4
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ნაროუშვილი (ლოკომოტივი), ივეჩიანი (გორდა), გ. დოლიძე (გურია), ი. გიგიაძე (?)		სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი, რუსეთი) 1:2, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), მარუხაშვილი (კარიერა დასრულა), რ. ხაჭაპურიძე (?); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	ტორპედო 0:4, 0:2 ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4
	მერანი *სერგო გაბელაია*	ჯიშკარიანი (კარიერა დასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი)	მინაშვილი (დინამო), ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), გ. ჩიხრაძე (ჰაბეთ შანი, ისრაელი), კაციაშვილი, გ. გვაზავა (მეტალურგი), ბაქრაძე (სიონი), ჩხაიძე (ტორპედო), დ. გოდერძიშვილი (მერანი), ჯულელი (?, კვიპროსიანი ისრაელი), ნიკურაძე (გორდა), რ. ონიანი (?)	გონჩაროვი (თბილისი), ნაროუშვილი (იბერია), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიპადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი), ლონდაძე (სამგურალი)	გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, სიონი 1:0, 3:1, დინამო 0:1, 3:2, ხლოვანი (სლოვაკეთი) 0:2, საქართველოს ეროვნული ნაკრები 2:2
	თსუ *თენგიზ კაციია*	მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ფარქოსაძე (?, გერმანია), ხართიშვილი (?)	მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), შედანა (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზ. ლაბაძე (თბილისი), ჭედია (ლაზიკა), გ. ხიზანიშვილი (აკადემია)	ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2, ტორპედო 0:1, სამგურალი 1:2
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), ს. ბურნაძე (ლოკომოტივი), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი)	ივეჩიანი (იბერია), კიბირია (საუ), სურმავა, ფოჩხუა (მრეტები), ნიკურაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი და არაფერი

ინგლისის პირველი დივიზიონის სადებიუტო მატჩში გატანილი პირველი გოლით ბრწყინვალე იყო აწ უკვე ვულვერჰემპტონელი თემურ ქეცბაია.

ორ საწყის გამარჯვებას დიდი ანგარიშით მარცხი მოაყოლა გიორგი ნემსაძის შოტლანდიურმა „დანდიმ“, რომელსაც სამ მატჩში უკვე მესამე მოთამაშე გაუძევეს.

ბელგიის „ქართული“ გუნდების შეჯრამ უქართველებოდ ჩაიარა და გელა შეყილაძის „ლიერსმა“ სტუმრად 3:1 დაამარცხა ტრავმამოუშუშებელი ლაშა ჯაკობიას „აალსტი“.

შვეიცარიაში გორა ჯამარაულის და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხმა“ ლოზანაში ორი უპასუხო გოლი გაუშვა და ცხრილის ფსკერზე დაიძირა. ლევან ხომერიკის „არაუ“ კი პირიქით, სადებიუტო წარუმატებლობები უკან მოიტოვა და სტუმრად „სიონის“ დამარცხებით მეხუთე ადგილამდე აიწია.

რუსეთში უჯანაშიოდ სძლია მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ნიჟნინოვგოროდელ სეხნიას, რომლის შემადგენლობაშიც შუასეზონში კლუბგამოცვლილი ზურაბ ფოფხაძე თამაშობდა.

„სპარტაკის“ მიერ „როტორის“ 5:2 რბევაში საკუთარი წილი დაიდო ოთარ ხიზანეიშვილმა, რომელმაც ერთი ტაიმი დამაჯერებლად ითამაშა, მერე კი ფეხმტკივანი (ამ დროს ანგარიში 3:1 იყო) დაასვენეს.

კვლავ უქართველებოდ ითამაშა „ალანიამ“. მიხეილ აშვეთია უკვე დაეთხოვა ამ გუნდს და ვიდრე „ლეგიონერების“ ახალ გრაფაში (ოქტომბერში დანიურ „ლიუნგბიუში“ ელიან) ჩაეწერებოდეს, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს“ დაეხმარება.

საკუთარი გუნდების თამაშს ისევ სათადარიგოთა სკამებიდან ადევნეს თვალი მეკარეებმა „კრილიას“ დავით გვარამაძემ და „როსტსელმაშის“ დავით ხმელიძემ.

რუსეთის უმაღლეს ლიგაშივე არცთუ ურიგო დებიუტი ჰქონდა ექსკოლხ მცველ გიორგი დავითნიძეს, რომელიც ნოემბრის ბოლომდე ათხოვეს ფოთელებმა ყალმუხებს.

რუსულ პირველ ლიგაში მარცხი იწვნია მიხეილ ჯიშკარიანის ლიდერმა „ტორპედო ზილმა“ და სადევარ (მიშას ყოფილ) კლუბ „სოკოლთან“ სხვაობა 7 ქულამდე გაზარდა.

გორა გოგრიჭიანის ზუსტი პენალტით „ჟემჩუჟინამ“ მხოლოდ ფრეს მიაღწია.

სამაგიეროდ მოიგო სეზონთშორისშივე კლუბნაცვალი ზვიად ჯელაძის ახალმა გუნდმა „კრისტალმა“ და ასევე ბახვა ამბიძის „ვოლგარმა“.

უკრაინაში ისვენებდა კახა კალაძის და გიორგი დემეტრაძის კიევის „დინამო“. ამასობაში კი თამაში დაიწყეს ცსკას ვიტალი დარასელიამ, რომლის გუნდი ინერტულობისთვის შეცვლილი მიხეილ ფოცხვერიას „დნიპროს“ დაუზავდა.

ტერნოპოლის „ნივა“ შინ მარიუპოლის „მეტალურგს“ დაუზავდა. „ნივას“ დაუბრუნდა სამარის „კრილია სოვეტოვში“ გასინჯვაზე ნამყოფი შოთა ჩომახიძე.

ამ უქმეებზევე დაიწყო ისრაელის ჩემპიონატი, მაგრამ იქაური თელავივის „მაკაბიში“ წარმატებით ითამაშა გივი დიდავამ, კობა წიტაიშვილი კი, როგორც ჩვენმა ებრაელმა კოლეგებმა გვითხრეს, „მაკაბიმ“ გაანათხოვრა — სად, ჯერჯერობით ვერ შევიტყვეთ.

პოლონური ხოჟუვის „რუხის“ შემადგენლობაში „ოდრასთან“ 1:2 წაგებულ მატჩში კვლავ არ ჩანდა მამია ჯიქია, თუმცა ჯიქიას წლევანდელ „რუხში“ დებიუტი უკვე ჰქონდა, ოღონდ უეფას თასზე, როცა ვილნიუსში „უალგირისთან“ შეცვლაზე ითამაშა.

ლატვიურ „პოლიციასს“ დაუბრუნდა წელმტკივანი ვალერი გაგუა, რომლის გუნდი ბოლო კი აღარ, ბოლოსწინა ადგილზეა.

კარგი დებიუტი ჰქონდათ ქართველებს აზერბაიჯანში, სადაც მეორე ტურში ერთბაშად ოთხმა, ძმებმა კილასონიებმა, კახა ძებისაშვილმა და მამუკა ხუნდაძემ მოახერხეს გატანა.

...მაგრამ ეს ყველაფერი არაფერია იმასთან, რაც გერმანიაში ალექსანდრე იაშვილმა ჩაიდინა.

1,5 ქულა „კიკერისგან“ და ადგილი ტურის სიმბოლურ ნაკრებში თვით დუბლის გამტან ულფ კირსტენის გვერდით. ქართველთა „ფრაიბურგმა“ 4:0 გაანადგურა „შტუტგარტი“. ლევან კობიაშვილმა, ისევე როგორც არჩილ არველაძემ, რომელსაც „კიოლნში“ მარცხიანი დებიუტი ჰქონდა, ოდენ „3“-იანები ერგოთ.

ის, რასაც ალექსანდრე იაშვილი ახერხებს ტრავმიდან ტრავმამდე ნამდვილად გასაოცარია. იმდენი საქებარი სიტყვა, რამდენიც „იაშკას“, ბუნდესლიგაში ბევრ უცხოელს როდი რგებია.

ვახტანგ მზიკაძე

ალექსანდრე იაშვილი (მარჯვნივ) გატანას ჯერ სხვებს ულოცავს. იმედია მალე მასვე მიულოცავენ

სახელი	გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
გერმანია									
ბუნდესლიგა									
ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი	შ	შტუტგარტი 4:0	90		1	0	1
ლევან	კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	შტუტგარტი 4:0	90		1	0	1
ლევან	ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	შტუტგარტი 4:0	0	ტრავმირებულია	0	0	1
არჩილ	არველაძე	კიოლნი	ს	შალკე 1:2	72	შეცვალეს	1	0	11
მეორე ბუნდესლიგა									
მიხეილ	საჯაია	როტლინგენი	შ	მაინცი 3:2	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	5
ინგლისი									
პირველი დივიზიონი									
თემურ	ქეცბაია	ვულვზი	შ	შეფილდ უენსდი 1:1	90	1 გოლი	1	1	11
შოტლანდია									
პრემიერლიგა									
გიორგი	ნემსაძე	დანდი	ს	ჰიბერნიანი 1:5	90		3	0	4
ბელგია									
უმაღლესი ლიგა									
გელა	შეყილაძე	ლიერსი	ს	აალსტი 3:1	0		0	0	3
ლაშა	ჯაკობია	აალსტი	შ	ლიერსი 1:3	0		0	0	16
შვეიცარია									
უმაღლესი დივიზიონი									
გორა	ჯამარაული	ციურიხი	ს	ლოზანა 0:2	32	შეცვალეს	5	1	12
მიხეილ	ყაველაშვილი	ციურიხი	ს	ლოზანა 0:2	0	სათადარიგო	4	0	12
ლევან	ხომერიკი	არაუ	ს	სიონი 1:0	28	შეცვლაზე ითამაშა	6	0	5
რუსეთი									
უმაღლესი ლიგა									
ზაზა	ჯანაშია	ლოკომოტივი	შ	ნ.ნოვგოროდი 2:0	0	სათადარიგო	13	2	2
ოთარ	ხიზანეიშვილი	სპარტაკი	შ	როტორი 5:2	45	შეცვალეს	4	0	1
ლევან	სილაგაძე	ალანია	შ	სატურნი 2:2	0	საქართველოში იმყოფებოდა	13	1	10
მამუკა	ნერეთელი	ალანია	შ	სატურნი 2:2	0	ლუნგბიუში (დანია) ისინჯებოდა	13	0	9
დავით	გვარამაძე	კრილია	შ	ანჟი 1:1	0		6	-11	13
ზურაბ	ფოფხაძე	ნ.ნოვგოროდი	ს	ლოკომოტივი 0:2	90	სათადარიგო	2	0	16
დავით	ხმელიძე	როსტსელმაში	შ	ჩერნომორეცი 0:1	0	სათადარიგო	0	0	12
ალექსანდრე	გოგობერიშვილი	ანჟი	ს	კრილია 1:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	3	0	4
გიორგი	დავითნიძე	ურალანი	შ	დინამო 0:1	69	გააფრთხილეს, შეცვალეს	1	0	15
პირველი ლიგა									
მიხეილ	ჯიშკარიანი	ტორპედო ზილი	ს	შინიკი 0:1	7	შეცვლაზე ითამაშა	5	0	2
ზვიად	ჯელაძე	კრისტალი	შ	ტომი 2:1	90		15	0	7
ბახვა	ამბიძე	ვოლგარი	შ	არსენალი 1:0	0	სათადარიგო	5	0	14
გორა	გოგრიჭიანი	ჟემჩუჟინა	ს	ნოსტა 2:2	90	1 გოლი პენალტით	20	0	9
უკრაინა									
უმაღლესი ლიგა									
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	კრივბასი	ს	სტალი 0:1	90		1	0	2
ვიტალი	დარასელია	ცსკა	შ	დნიპრო 1:1	12		1	0	4
გორა	ტრაპაიძე	ტავრია	ს	კარპატი 1:4	71	შეცვალეს	3	0	7
მიხეილ	ფოცხვერია	დნიპრო	ს	ცსკა 1:1	71	შეცვალეს	3	0	1
ავთანდილ	კაპანაძე	ნივა	შ	მარიუპოლი 1:1	52	შეცვალეს	4	0	12
ტარიელ	კაპანაძე	ნივა	შ	მარიუპოლი 1:1	90		4	0	12
კახა	დგებუაძე	ნივა	შ	მარიუპოლი 1:1	38	შეცვლაზე ითამაშა	6	1	12
ავთანდილ	გვიანიძე	ნივა	შ	მარიუპოლი 1:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	2	0	12
ავთანდილ	სიხარულიძე	ნივა	შ	მარიუპოლი 1:1	0	სათადარიგო	2	0	12
შოთა	ჩომახიძე	ნივა	შ	მარიუპოლი 1:1	45	შეცვალეს	2	1	12
ისრაელი									
უმაღლესი ლიგა									
გივი	დიდავა	მ.თელ ავივი	შ	ბნეი იეჰუდა 1:0	90		1	0	5
პოლონეთი									
უმაღლესი ლიგა									
მამია	ჯიქია	რუხი	ს	ოდრა 1:2	0	სათადარიგო	0	0	14
ლატვია									
უმაღლესი ლიგა									
მოლდოვა									
უმაღლესი ლიგა									
ლადო	ახალაია	ზიმბრუ	შ	ნისტრუ 2:1	?		?	0	4
ლევან	გვაზავა	ზიმბრუ	შ	ნისტრუ 2:1	?		?	0	4
აზერბაიჯანი									
უმაღლესი ლიგა									
ვარლამ	კილასონია	თურანი	შ	შახდაგი 4:1	45	1 გოლი	2	1	7
გია	კილასონია	თურანი	შ	შახდაგი 4:1	45	1 გოლი	1	1	7
ჯაბა	ნიკლაური	თურანი	შ	შახდაგი 4:1	90		2	0	7
მამუკა	ხუნდაძე	ქიაფაზი	შ	ხაზარი 7:1	?	1 გოლი	1	1	4
გიორგი	თვალაბეიშვილი	ხაზარი	ს	ქიაფაზი 1:7	?		2	0	8
კახა	ძებისაშვილი	ხაზარი	ს	ქიაფაზი 1:7	?	1 გოლი	2	1	8
ჩემპიონთა ლიგა									
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები									
გიორგი	დემეტრაძე	დინამო	შ	ცრვენა ზვეზდა 0:0	?	შეცვალეს	1	0	
კახა	კალაძე	დინამო	შ	ცრვენა ზვეზდა 0:0	0	სათადარიგო	0	0	
ლადო	ახალაია	ზიმბრუ	ს	მარიბორი 0:1	28	შეცვლაზე ითამაშა	3	0	
ლევან	გვაზავა	ზიმბრუ	ს	მარიბორი 0:1	0	სათადარიგო	1	0	
უეფას თასი									
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები									
მამია	ჯიქია	რუხი	ს	ჟალგირისი 1:2	36	შეცვლაზე ითამაშა	1	0	
გელა	შეყილაძე	ლიერსი	ს	ეკრანასი 0:3	90		1	0	
ვაჟა	თარხნიშვილი	შერიფი	შ	ოლიუბლიანა 0:0	90	გაფრთხილება	1	0	
დავით	მუჯირი	შერიფი	შ	ოლიუბლიანა 0:0	1	შეცვლაზე ითამაშა	1	0	
მამუკა	ხუნდაძე	ქიაფაზი	შ	ანთალია 0:2	86	შეცვალეს	1	0	

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



ბექემი, ზიდანი, რივალდო— ვარსკვლავებიც ადამიანები არიან, მათ უფლებებზე ზრუნავს ევროკავშირი

სატრანსფერო ბაზარი უკანონოა!

მალე ფიგუს, ზიდანის, რივალდოს და სხვათა ფასი კაპიკიც აღარ იქნება

ეს ისტორია 1995 წელს დაიწყო და ევროპული ფეხბურთის მუდმივ თავსატეხად იქცა. თუმცა მაშინდელი ცვლილებები საფეხბურთო კანონმდებლობაში, რომლებიც რევოლუციურად მოინათლა, სინამდვილეში მხოლოდ ბუნტი ყოფილა, ნამდვილი ნგრევა ახლაღა იწყება...

„ჩელსის“ პარადოქსი

წლეულს 22 მარტს ლონდონის „სტემფორდ ბრიჯზე“ ბლომად ხალხი მივიდა. ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მე-6 ტურში „ჩელსი“ „ლაციოს“ მასპინძლობდა. გამოაცხადეს შემადგენლობები. „ჩელსი“: ედ დე გუი, დან პეტრესკუ, სელესტინ ბაბაიარო, ფრანკ ლებეფი, მარსელ დესაი, დიდიე დეშამპი, გუსტავო პოიეტი, რობერტო დი მატეო, ალბერტ ფერერი, ტორე ანდრე ფლო, ჯანფრანკო ძოლა. ამგვარი რამ არასდროს მომხდარა: ლონდონში 35 ათასი ინგლისელი გულშემატკივარი ინგლისური კლუბის საქომაგოდ მივიდა, რომლის შემადგენლობაში ერთი ინგლისელიც არ თამაშობდა.

არადა, იყო დრო, როცა კლუბებში უცხოელთა რაოდენობა ლიმიტირებული გახლდათ. 1995 წლის ცნობილმა სასამართლო პროცესმა კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა, რომლის აპოთეოზიც 22 მარტის „ჩელსის“ სასტარტო შემადგენლობა გახდა. და განა მხოლოდ „ჩელსი“? ნებისმიერ მეტ-ნაკლებად კარგ კლუბს გადავხედოთ, იქაც იგივე ხდება. მაგალითად, „ბარსელონა“. გვარდიოლას და აბელარდოს გარდა იქ მოთამაშე ესპანელთა გახსენება ერთობ ძნელია.

რა ქნან ღარიბებმა?

1995 წელს ფეხბურთში ერთი წესიც შეიცვალა. კერძოდ, კონტრაქტდასრულებული ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი ხდებოდა და ძველ კლუბს მასში კომპენსაციის მოთხოვნა აღარ შეეძლო.

ადრე ყველაფერი კარგად იყო აწყობილი. პატარა კლუბები ნიჭიერ ბავშვს იპოვნიდნენ, გაზრდიდნენ და სარფიანად ყიდიდნენ. ღარიბი კლუბებისთვის, რომლებსაც ბობოლებთან გაჯიბრების პერსპექტივა არ ჰქონდათ, ეს თავის რჩენის უმთავრესი წყარო იყო. ეს გზა მოიჭრა. მდიდრებმა მომავალი ვარსკვლავების გამოზრდის საჭიროება დაკარგეს. რაღად უნდათ? მოჰკიდებენ ფეხბურთელს ხელს რომელიმე გაჭირვებული კლუბიდან და მიჰყავთ. ისინიც კმაყოფილები არიან და ახალგაზრდა ფეხბურთელებიც. ღარიბებმა კი რა ქნან? მათ ერთადერთი ვარიანტი რჩებათ, ფეხბურთელს ბავშვობიდანვე ისეთი ვადით და პირობებით უნდა გაუფორმონ კონტრაქტი, რომ უკვე ზრდასრულ მოთამაშეებს თავისუფალ აგენტებად ქცევა და უკომპენსაციოდ წასვლა არ შეეძლოთ. ამ ანკესზე კი ყველა არ წამოეგება.

ბოსმანის დოსიე

ბელგიელი ჟან მარკ ბოსმანი საეჭვო კლასის ფეხბურთელი იყო და მინდორზე ვერაფერს მიადწია. კარიერის დასასრულს კი სულაც გალოთდა და ყელამდე ვალებში ჩაეფლო. მაგრამ ბოლო ხუთი წელია, მის სახელს ისევე ხშირად გაიგონებთ, როგორც პელესა და ზიდანისას. რით დაიმსახურა ბოსმანმა ამგვარი პატივი? უბრალოდ, მან პირველმა შეამჩნია, რომ ფიფა-უეფას კანონები ევროკავშირის კანონებს ეწინააღმდეგება, მისმა ადვოკატებმა კი ის სასამართლო პროცესი მოიგეს, რომელმაც ფეხბურთში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები მოიტანა.

ახალი ბოსმანები

ის, რაც „ბოსმანის“ წესმა ფეხბურთს გაუკეთა, არაფერია იმასთან შედარებით, რაც შესაძლოა ახლა მოხდეს. პირველი გამფრთხილებელი სიგნალი პერუჯიდან მოვიდა, რაზეც „სარბიელი“ უკვე წერდა და მოკლედ შეგახსენებთ. „პერუჯამ“ ერთ-ერთი კლუბიდან კონტრაქტდაუსრულებელი ფეხბურთელი გადაიყვანა და ტრანსფერის ღირებულების გადახდაზე უარს ამბობს. მეტიც, სასამართლოთი იმუქრება. ვეჭვობთ, პერუჯელები იმდენად სულელები იყვნენ, რომ ასე მოქცევა ზურგს უკან მდგომი სერიოზული ძალის და არგუმენტების გარეშე გაბედონ.

„პერუჯას“ მხარს ევროკავშირი უჭერს. ევროპის მმართველები ამბობენ: სატრანსფერო ბაზარი უკანონოა!

ის, რაც უკანონოა, უნდა გაუქმდეს და ახლით შეიცვალოს და რაკი ევროკავშირი ისეთ გიგანტურ ორგანიზაციებს უპირისპირდება, როგორებიც ფიფა-უეფაა სპეციალური, ევროკავშირის სპორტულ საკითხთა კომისიაც შექმნეს, რომელსაც ვინმე ამელია ტორესი ხელმძღვანელობს.

ევროპის შრომის კანონმდებლობაში წერია: ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს შეიცვალოს სამუშაო ადგილი, ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე.

ეს წესი მაგალითზე განვიხილოთ. მადრიდის „რეალმა“ და ლუეშ ფიგუმ ექვსწლიან კონტრაქტზე მოაწერეს ხელი და შეთანხმდნენ, რომ თუ ამ პერიოდში პორტუგალიელი სხვაგან გადასვლას მოინდომებს, მის ახალ კლუბს „რეალისთვის“ 168 მილიონი დოლარი ექნება გადასახდელი, ხოლო თავად ფიგუს — 28 მილიონი. თუ ევროკავშირი მუქარას აასრულებს და არსებულ სატრანსფერო წესებს უკანონოდ გამოაცხადებს, „რეალის“ და ფიგუს კონტრაქტი უმალ ფარატინა ქაღალდად იქცევა და ფეხბურთელი ჩიტივით თავისუფალი გახდება — სურვილი თუ გაუჩნდა, შეუძლია თბილისის „დინამოშიც“ გადავიდეს.

აქ მთავარი ისაა, თუ რამდენად სერიოზულია ევროკავშირის და მისი სპორტული კომისიის მუქარა. „ბოსმანის წესის“ შემოღების მერე გამოცდილება გვკარნახობს, რომ ფიფა-უეფა ევროკავშირს წინ ვერ აღუდგება.

საფრთხე რეალურია!

ამელია ტორესი ამბობს: „ფიფას რამდენჯერმე ვთხოვეთ, რეფორმების გეგმა წარმოედგინა, მისგან კი ერთი საქმიანი წინადადებაც არ მიგვიღია. ისინი ამბობენ, რომ ფეხბურთი საქმიანობის სპეციფიკური სფეროა, რის გამოც მათთვის საერთო წესიდან გამონაკლისი უნდა დავუშვათ. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ფეხბურთელიც ადამიანია, ხოლო ადამიანის უფლებების დაცვა, მათ შორის სამუშაო ადგილის დაუბრკოლებლივ შეცვლისა, ევროკავშირის უპირველესი მოვალეობაა. ვიმეორებ, თუ მსოფლიო ფეხბურთის ხელმძღვანელები არსებული სატრანსფერო წესების ალტერნატიულ ვარიანტს არ შემოგვთავაზებენ, წლის ბოლომდე მათ წესებს გავაუქმებთ“.

და რას ამბობს ამ დროს ფიფა? ამ დღეებში ორგანიზაციის გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენი ევროკავშირს სატრანსფერო ბაზრის რეფორმის პროექტს გაუგზავნის. რა სახის ცვლილებებს დათანხმდება ფიფა ჯერჯერობით უცნობია. ცხადია, ეს იძულებითი ნაბიჯია და ფიფა მასზე ხალისით არ მიდის. ამას ფიფას ოფიციალურ ვებგვერდში გამოქვეყნებული ეს ფრაზაც მოწმობს: „ევროკავშირის ინიციატივა საფეხბურთო ბაზარს ნაგავსაყრელად აქცევს“.

მდიდრებიც და ღარიბებიც

საფეხბურთო კანონების მოსალოდნელი ცვლილება უპირველესად პატარა კლუბების ჯიბეს დაეტყობა. ზემოთ ვთქვით, რომ „ბოსმანის წესი“ მათ მანევრირების საშუალებას მაინც უტოვებდა, ახლა კი ესეც მოესპობათ. თუმცა არანაკლებ შეშფოთებულნი არიან ბობოლებიც. მიუნხენის „ბაიერნი“ მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბია და ევროპელ გრანდთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელსაც G-14-ს უწოდებენ. მიუნხენელთა ვიცე-პრეზიდენტი კარლ ჰაინც რუმენიგე ამბობს: „როგორც ჩანს, ფეხბურთი უდიდესი კატასტროფის წინაშე დგას. უარესის წარმოდგენა უბრალოდ შეუძლებელია. ჩემი კლუბის მდგომარეობას მოგახსენებთ. „ბაიერნს“ ჰყავს ფეხბურთელები, რომელთა შეძენა თუ გაზრდა მილიონობით დოლარი დაგვიჯდა. აქამდე მშვიდად ვიყავით, კიცოდით, რომ საჭიროების შემთხვევაში მათში ათობით მილიონს გადაგვიხდიდნენ. ახლა კი ყველაფერს ვკარგავთ. ევროკავშირს აუცილებლად უნდა მოველაპარაკოთ. ფიფას და უეფას გარდა, სუპერკლუბებიც აქტიურად უნდა ჩავერთოთ საქმეში“.

„ბაიერნის“ გასაჭირი სავსებით გასაგებია, მაგრამ რა ქნან „რეალმა“ ან „ლაციომ“? მოგეხსენებათ, რამდენი დახარჯეს მათ ზაფხულში ახალი ფეხბურთელების შესაძენად.

162 კლუბი

შეშფოთებულია პრემიერლიგის თავმჯდომარე რიჩარდ სკადემორიც: „რა გამოდის, ფეხბურთელს შეუძლია ხელმძღვანელობასთან მივიდეს და უთხრას, მე ხვალ მივდივარო? ეს აბსურდია. რაღაც კომპრომისული ვარიანტი უნდა გამოიძებნოს“.

ზოგადი განცხადების გარდა რიჩარდ სკადემორი პროგნოზსაც აკეთებს, ევროკავშირის მოთხოვნის შესრულება ესპანეთში 40, საფრანგეთში — 30 და ინგლისში 92 კლუბს შეიწირავსო. ესპანეთსა და საფრანგეთში რა მოხდება საიდან გამოთვალა, ვერ გეტყვით, მაგრამ სკადემორმა ინგლისური ფეხბურთის ავან-ჩავანი კარგად რომ უწყის, წყალი არ გაუვა.

ხელფასები, ხელფასები...

ზემოთ ფიგუს მაგალითი მოვიყვანეთ — რა შეიძლება მოხდეს ევროკავშირის მუქარის ასრულების შემთხვევაში. ახლა იმავე ფიგუს შემთხვევა ხელფასების თვალსაზრისით განვიხილოთ.

როგორც ვიცით, „რეალი“ პორტუგალიელს წელიწადში 4.48 მილიონ დოლარს უხდის. ვთქვათ, მისი გადაბირება „მილანმა“ დააპირა. სილვიო ბერლუსკონისთვის ამის გაკეთება ძალიან ადვილია — ფლორენტინო პერესს ზედაც არ შეხედავს, მივა პირდაპირ ფიგუსთან (ან ადრიანო გალიანის მიუგზავნის) და ეტყვის, მე ექვს მილიონს გადაგიხდი. საქმე გაკეთებულია, თან სულ რაღაც ექვს მილიონად. როგორია?

ერთ კვირაში „იუვენტუსს“ ახსენდება, რომ ზიდანთან ფიგუს შეწყვეტება ურიგო არ უნდა იყოს. ჰპირდებიან ფეხბურთელს შვიდ მილიონს და პორტუგალიელი უკვე ტურინშია. მერე ხუან გასპარი გაიხსენებს, რომ ფიგუ ოდესღაც მის გუნდში თამაშობდა დათუმც კმარა, აქ შევწყვიტოთ, ხელფასების ამბავი, მგონი, გასაგებია.

დასკვნა ანუ რა საჭიროა შუქნიშანი

თავისუფლება, მათ შორის სამუშაო ადგილის დაუბრკოლებლად შეცვლა, წმინდათაწმინდა რამ არის. მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ზოგიერთი შეზღუდვის გარეშე ზოგადად ცხოვრებაში და ამ შემთხვევაში სპორტში არსებობა გაჭირდება.

გარკვეული შეზღუდვების აუცილებლობაზე საუბრისას კი ჩვეულებრივი შუქნიშანი შეგვიძლია გავიხსენოთ, აი, ისეთი, ყოველ გზაჯვარედინზე რომ დგას. შუქნიშანი გადაადგილების თავისუფლებას ზღუდავს, მაგრამ უიმისოდ როგორი ქაოსი იქნება, ესეც კარგად ვიცით.

გიორგი დარჯანია

ალფონსო ბარსელონელია

ჰესპი კი სამშობლოში დაბრუნდა

„ბარსელონამ“, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა ფეხბურთელის შეძენა, რომლის ხელში ჩაგდებასაც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ლამობდა. ალფონსო პერესზე მოგახსენებთ, „ბეტისის“ აწ უკვე ყოფილ ფორვარდზე, რომელიც მომავალი სეზონიდან „ბარსელონასთვის“ გაირჯება. კატალონიელებმა სევილიელებს 12 მილიონი დოლარი გადაუხადეს და ამგვარად ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი თავისთან დაიგულეს. თავად ალფონსოს ხელფასიც ცნობილია, იგი წელიწადში 1,64 მილიონ დოლარს მიიღებს.

ადრეც გაუწყეთ, რომ „ბარსელონა“ ალფონსოს შეძენის სურვილს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გამოთქვამდა, თუმც მას მარადიული მოქიშპე, მადრიდის „რეალი“ და ესპანეთის ამჟამინდელი ჩემპიონი „დეპორტივო“ ეცილებოდნენ. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ფეხბურთელმა კატალონია ამჯობინა. კლუბსა და მოთამაშეს შორის შეთანხმება ოთხი წლის ვადით დაიდო.

„შემეძლო მადრიდში გადავსულიყავი, მაგრამ „ბარსელონა“ ვარჩიე. „ბარსას“ ხელმძღვანელობამ ისურვა, რომ კარიერა მათ კლუბში გამეგრძელებინა და მეც დავთანხმდი. ბოლო ხანს მხოლოდ კატალონიაში გადასვლაზე ვფიქრობდი, მიუხედავად იმისა, რომ სხვა კლუბები გამუდმებით მეხმიანებოდნენ — განაცხადა 27 წლის ფეხბურთელმა.

ალფონსო ალბათ ევროპის ჩემპიონატიდან გემახსოვრებათ. სწორედ მის ზუსტ დარტყმას მოჰყვა მეოთხე გოლი იუგოსლავიის ნაკრების კარში შეხვედრის უკანასკნელ წუთზე, რამაც საბოლოოდ ესპანეთს 4:3 გამარჯვება და მეოთხედფინალის საგზური მოუპოვა. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ალფონსო 1992 წლის ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელია.

ალფონსო პერესი მადრიდში დაიბადა და პროფესიული კარიერა მადრიდის „რეალში“ დაიწყო. სადებიუტო მატჩი „სამეფო კლუბში“ მან 1991 წელს ჩაატარა. ბოლო ხუთი სეზონი ფორვარდი „ბეტისში“ თამაშობდა, მაგრამ ახლა სევილიური კლუბი მეორე დივიზიონში დათქვეითდა. ალფონსომ ქვედა ლიგაში თამაშს კარიერის „ბარსელონაში“ გაგრძელება არჩია და საბოლოოდ მაიღწია კიდევ მიზანს. არც გაემტყუნება...

„ბარსელონაში“ სხვა სიახლეებიცაა. კერძოდ ის, რომ კატალონიაში შეიძლება ალბერტ ფერერი დაბრუნდეს. ესპანელი ამჟამად „ჩელსიში“ თამაშობს, თუმცა, როგორც ბრიტანული პრესა იუწყება, იგი ალბათ კლუბს გამოიცვლის. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ „ბარსელონადან“ ალბათ ჰოლანდიელი ბუდეკინ ზენდენი წავა. ამგვარად ლონდონელთა თავკაცმა ჯანლუკა ვიალიმ მოისაზრა, რომ არ იქნებოდა ურიგო, თუ „ჩელსი“ და „ბარსელონა“ ფეხბურთელებს ერთმანეთში გაცვლიდნენ, ზენდენი პრემიერლიგაში გადავიდოდა, ხოლო ფერერი პრიმერადივიზიონში დაბრუნდებოდა.

ზენდენის „ბარსელონადან“ გადასვლა-არგადასვლა უკვე კარგა ხანია, მსჯელობის თემად იქცა. ფეხბურთელს ადრე თითქოს „ლაციო“ ეპატიჟებოდა და სანაცვლოდ ერთობ სოლიდურ თანხასაც ჩამოდიოდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. რომაული კლუბის პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი დაფიქრდა და მიხვდა, რომ ჯობდა, ამ ეტაპზე ჰოლანდიელის ყიდვისაგან თავი შეეკავებინა, რადგან „ლაციომ“ უკვე ძალიან ბევრი ფეხბურთელი შეიმატა. პრეზიდენტმა მოგვიანებით განმარტა, მართლაც ბევრი ახალწვეული ვიგდე ხელთ, და ზენდენის ტრანსფერზე ჯერ კიდევ დავფიქრდები, ძალიან არ გადავამლაშოო.

სანამ სერჯო კრანიოტი ფიქრობდა, „ჩელსის“ თავკაცმა ჯანლუკა ვიალიმ ყველაფერი გადაწყვიტა. მან მოისურვა, თავის ინტერნაციონალურ გუნდში კიდევ ერთი უცხოელი ათამაშოს. „ლონდონიდან შეგვეხმიანენ. ბუდვინის შეძენის სურვილი „ჩელსმ“ გამოთქვა. შეთანხმება ადვილი მოსალოდნელია“ — იუწყება ნახევარმცველის მამა.

ბარსელონური თემა კლუბის ორ ახალგაზრდა ფეხბურთელზე, ფრედერიკ დეუსა და გაბრი გარსიაზე საუბრით განვაგრძოთ. დეუს „ბარსელონა“ თითქოს გაყიდვას უპირებდა, მაგრამ ფრანგი კვლავაც კატალონიაშია. ახლა მას მორიგი მყიდველი გამოუჩნდა — გერმანიის ვიცე-ჩემპიონი „ლევერკუზენი“. პოპულარული გამოცემა „კიკერი“ ირწმუნება, ლევერკუზენელთა თავკაც კრისტოფ დაუმს ჩემპიონთა ლიგისთვის კლუბის გაძლიერება სურს და არ არის გამორიცხული, ფრანგი ცენტრალური მცველი ხელში ჩაიგდოსო. რამდენს იხდიან გერმანელები, ჯერჯერობით არ უთქვამთ.

ახლა გაბრიზეც, 21 წლის ფეხბურთელზე, რომელიც მომავალში „ბარსელონას“ ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ მოიაზრება, თუმც მან ჯერჯერობით პრაქტიკა და გამოცდილება უნდა მიიღოს. „ბარსელონას“ ამას წინათ თურმე „ოვიედომ“ შეუთვალა. გაბრი მომავალ სეზონში თუ არ დაგჭირდებათ, ეგებ ერთი სეზონით ჩვენთვის გეთხოვებინათო. რა უპასუხა კატალონიურმა კლუბმა, არავინ იცის.

საბოლოოდ გაირკვა რუუდ ჰესპის საკითხი. ჰოლანდიელი, რომელიც „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში ალბათ ვეღარ მოხვდებოდა, სამშობლოში დაბრუნდა და „სიტარდთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აღსანიშნავია, რომ 34 წლის მეკარემ კატალონიური კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. ჰესპი და პორტუგალიელი ვიტორ ბაია „ბარსელონამ“ წინა კვირაში ტრანსფერზე დააყენა. ჰოლანდიელმა ახალი კლუბი უკვე მონახა, ალბათ პორტუგალიელის მსურველიც მალე გამოჩნდება.

რუუდ ჰესპი „ ბარსელონაში“ ლუის ვან გაალმა მიიყვანა. იგი გუნდის ძირითადი მეკარე გახლდათ. მარტში მან კლუბთან კონტრაქტიც გააგრძელა და დარჩენას კიდევ აპირებდა, მაგრამ... „ბარსელონაში“ მას შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა — ვან გაალი წავიდა, პრეზიდენტი შეიცვალა და ჰესპის საქმეებიც სხვაგვარად წარიმართა. ახალმა მწვრთნელმა ლუის სერა ფერერმა ჰოლანდიელის კლუბში დატოვება აღარ ისურვა და ისე გამოვიდა, რომ რუუდი ახალ სეზონს ახალ კლუბში დაიწყებს.

ნიკა ზუბლაძე

„ბარსელონაშიც“ ასეა: ზოგი მიდის, ზოგი მოდის... ახალწვეული ალფონსო პერესი და წასული რუუდ ჰესპი

ფეხბურთის რეკორდები

იტალიელი მცველი პიეტრო ვერხოვოდი კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს და სერია A-ში ჩატარებული მატჩების რეკორდის დამყარებას აპირებს. „იტალიის უმაღლეს ლიგაში 562 შეხვედრა ჩავატარე, დინო ძოფს კი 570 მატჩი აქვს ნათამაშევი. იგი რეკორდმენია, კარიერის დასრულებას არ ვაპირებ და რეკორდს დავამხობ“ — განაცხადა 41 წლის ფეხბურთელმა. აღსანიშნავია, რომ ვერხოვოდი ამჟამად „პიაჩენცაში“ ირიცხება, ეს კლუბი კი სერია B-ში დაქვეითდა, ამიტომ ვერხოვოდი ახალი სეზონის დაწყებამდე გუნდის გამოცვლას და სერია A-ს რომელიმე კლუბში თამაშს აპირებს. მისი შეძენის სურვილი „ბრეშამ“, „ატალანტამ“, „პერუჯამ“ და „ვიჩენცამ“ გამოთქვეს. ვერხოვოდმა პროფესიული კარიერა 1977 წელს „კომოში“ დაიწყო, ეს კლუბი მაშინ სერია B-ში თამაშობდა. ამ გუნდთან ერთად ფეხბურთელმა სერია A-ში და სერია C-შიც ითამაშა. შემდეგ ვერხოვოდი „ფიორენტინაში“ გადავიდა, იქიდან კი „რომაში“, მერე „სამპდორიაში“ მოხვდა. გენუურ კლუბში მან 12 სეზონი გაატარა, იტალიის ჩემპიონი გახდა და ჩემპიონთა თასის ფინალშიც ითამაშა. ვერხოვოდს „იუვენტუსში“, „პერუჯაში“ და „მილანშიც“ უთამაშია.

გერმანელი მცველი კრისტიან ციგე რამდენიმე დღეში „მიდლსბროდან“ „ლივერპულში“ გადავა. „ცოტა ხანს დავიცდი, მალე ალბათ ყველაფერი გაირკვევა და „ლივერპულში“ გადავალ“ — განაცხადა 28 წლის გერმანელმა. აღსანიშნავია, რომ ლივერპულურ კლუბში მისი ორი თანამემამულე — მარკუს ბაბელი და დიტმარ ჰამანი თამაშობს. საგენტოების ცნობით, „ლივერპული“ ციგეს სანაცვლოდ „მიდლსბროს“ 8,3 მილიონ დოლარს გადაუხდის. მცველს გერმანიის ნაკრებში 52 შეხვედრა ჩაუტარებია, „მიდლსბროში“ იგი შარმან „მილანიდან“ გადავიდა.

იტალიური „ინტერი“ თვის ბოლომდე ბრაზილიელი ვამპეტას შეძენას აპირებს. მარჩელო ლიპის განზრახული აქვს, ფეხბურთელი გადაიბიროს და მან ახალი სეზონი სერია A-ში დაიწყოს. ვამპეტას სრული სახელი მარკუს ანდრე ბატისტა დუშ სანტუშია, იგი ამჟამად „კორინთიანსის“ ღირსებას იცავს. ბრაზილიელის შეძენის სურვილი ამას წინათ „ფიორენტინამაც“ გამოთქვა.

ბოსნია ათამაშდა

აქამდე ექვსი ევროპული სახელმწიფო არ მართავდა თავის ეროვნულ ჩემპიონატს — ანდორა, ლიხტენშტაინი, მონაკო, სან მარინო, ვატიკანი და ბოსნია. ვატიკანში ფეხბურთს საერთოდ არ თამაშობენ. მონაკოს სამეფოს ერთადერთი გუნდი ჰყავს და ისიც საფრანგეთის ჩემპიონატზე გამოდის. ლიხტენშტაინს, სან მარინოს და ანდორასაც გუნდების სიმცირის გამო სრულფასოვანი ჩემპიონატის გამართვის საშუალება არა აქვთ და თასის გათამაშებით კმაყოფილდებიან. ბოსნია ზემოთ ნახსენებ სახელმწიფოთაგან განსხვავებით ჯუჯა არ არის და გუნდებიც მრავლად ჰყავს, ჩემპიონატის ჩატარება კი მხოლოდ ახლა დაიწყეს. პირველი ჩემპიონატის პირველი ტური გასულ უქმეებზე გაიმართა.

1993 წელს იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ბალკანეთში ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებს შორის ბოსნია ყველაზე მრავალეთნიკურია. იქ მუსლიმანები, ხორვატები და სერბები ცხოვრობენ, რომლებსაც ერთმანეთთან არცთუ ტკბილი დამოკიდებულება აქვთ. ჰოდა, რელიგიურ-ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტი ფეხბურთსაც გადაედო. ერთიანი ჩემპიონატის გამართვა ვერა და ვერ ხერხდებოდა, ყველა თავისთვის თამაშობდა.

6 აგვისტო ბოსნიური ფეხბურთისთვის ისტორიული დღეა. ოცდაორმა მუსლიმანურმა და ხორვატულმა კლუბმა საერთო ენა გამონახეს. სერბები კვლავ განზე გადგნენ, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც კარგია. მოკლედ, თქვეს და გააკეთეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველობა გასულ უქმეებზე დაიწყო.

ქალაქი მოსტარო ოო ნაწილად იყოფა. აქეთ ხორვატები ცხოვრობენ, იქით მუსლიმანები. „ბიჟელი ბრიჟეგის“ სტადიონი ქალაქის ხორვატულ ნაწილშია და „ჟრინუსკიმ“ „ველეჟს“ უმასპინძლა. მატჩის დროს იყო ქვებისა და ბოთლების სროლა, ჩხუბიც, მაგრამ საბოლოოდ ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა, ისევე როგორც შეხვედრა — ბოსნიური ფეხბურთისთვის ისტორიული.

ბრაზილია

მე-6 ტური: ატლეტიკო პარანენსე — პალმეირასი 0:0; ბოტაფოგო — ინტერნასიონალი 0:1; გუარანი — ვასკუ და გამა 0:1; სპორტ რესიფე — კრუზეირო 1:1; პორტუგესა — ფლუმინენსე 2:0; კორინთიანსი — სანტა კრუზი 2:0; გოიასი — ვიტორია 4:5; კურიტიბა — გამა 0:1; გრემიო — სანტოსი 0:2; სან პაულუ — ფლამენგო 3:2

გოიასი	6	4	1	1	12:6	13
ატლ. პარანენსე	6	3	2	1	7:4	11
გამა	5	3	0	2	6:6	9
ბოტაფოგო	5	2	2	1	6:4	8
სანტოსი	4	2	1	1	6:3	7
ფლუმინენსე	4	2	1	1	6:4	7
სან პაულუ	3	2	1	0	6:4	7
ვასკუ და გამა	4	2	1	1	5:5	7
ვიტორია	4	2	0	2	10:9	6
კორინთიანსი	4	2	0	2	6:6	6
ფლამენგო	5	1	3	1	8:6	6
პალმეირასი	5	1	3	1	3:5	6
სპორტ რესიფე	3	1	2	0	3:1	5
ბაია	4	1	2	1	3:4	5
პონტე პრეტა	2	1	1	0	4:2	4
ინტერნასიონალი	3	1	1	1	2:2	4
სანტა კრუზი	4	1	1	2	3:5	4
პორტუგეზა	3	1	0	2	3:6	3
ატლ. მინეირო	3	0	2	1	1:2	2
გუარანი	3	0	2	1	1:2	2
ჟუვენტუდე	3	0	2	1	2:4	2
კრუზეირო	3	0	2	1	4:6	2
კურიტიბა	4	0	1	3	0:4	1
გრემიო	4	0	1	3	1:6	1
ამერიკა	2	0	0	2	1:4	0

არგენტინა

მე-2 ტურის გამოტოვებული მატჩები: ინდეპენდიენტე — ბელგრანო 0:0; ლოს ანდესი — ნიუელს ოლდ ბოიზი 1:1; ბოკა ხუნიორსი — ხიმნასია ლა პლატა 3:3; როსარიო სენტრალი — ალმაგრო 1:1

ბოკა ხუნიორსი	2	2	0	0	6:1	6
ტალერესი	2	1	1	0	4:1	4
ურაკანი	2	1	1	0	4:2	4
კოლონი	2	1	1	0	3:1	4
რივერ პლეიტი	2	1	1	0	3:2	4
ლოს ანდესი	2	1	1	0	3:2	4
ოლდ ბოიზი	2	1	1	0	2:1	4
სან ლორენსო	2	1	0	1	3:1	3
ველესი	2	1	0	1	2:2	3
ლა პლატა	2	1	0	1	2:3	3
ესტუდიანტესი	2	0	2	0	2:2	2
ალმაგრო	2	0	2	0	2:2	2
ბელგრანო	2	0	2	0	1:1	2
ინდეპენდიენტე	2	0	2	0	1:1	2
უნიონი	2	0	1	1	1:2	1
როსარიო	2	0	1	1	2:4	1
ჩაკარიტა	2	0	1	1	0:2	1
არგ. ხუნიორსი	2	0	1	1	1:5	1
ლანუსი	2	0	0	2	0:3	0
რასინგი	2	0	0	2	1:5	0

თურქეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი „ბეშიქთაში“ — „იოზგათი“ დამთავრდა 3:0 და არა 3:3, როგორც გუშინდელ „სარბიელში“ გაცნობეთ.

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

პირადულს გუნდური სჯობს

კევინ ფილიპსი

კევინ ფილიპსი წინა სეზონში პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. პრემიერლიგის ახალწვეულ „სანდერლენდის“ ფორვარდმა ინგლისის უძლიერესი გუნდების თავდამსხმელებს ტოლი არ დაუდო და აჯობა კიდეც. კევინი ნაკრების ხელმძღვანელობამაც შეამჩნია და ფეხბურთელმა ინგლისის პირველ გუნდში მიიღო მიწვევა. მისმა სეხნიამ კევინ კიგანმა იგი ევროპის ჩემპიონატზეც იახლა, თუმცა ისე მოხდა, რომ ფილიპსს ტურნირზე ერთი წუთიც არ უთამაშია. ფილიპი წინა სეზონს წარმატებულად თვლის და წლეულს მეტის მიღწევას აპირებს. ყველაფერ ამაზე იგი თავად გვესაუბრება:

— საცაა პრემიერლიგის ახალი სეზონი დაიწყება. როგორ ფიქრობთ, „სანდერლენდს“ წარმატების შანსები თუ აქვს?

— რატომაც არა? ვგონებ, ევროთასებზე მოხვედრაც შეგვიძლია. უფრო მეტიც, შეგვწევს ძალა ჩემპიონთა ლიგის სამეულში შევიდეთ. წინა სეზონი კარგად ჩავატარეთ. თუ კიდევ მოვინდომებთ, ყველაფერი შესაძლებელია. უნდა ავწონ-დაწონოთ და ჩვენი მხრიდან მონდომება არ დავაკლოთ, მერე კი წარმატებაზეც შეიძლება ფიქრი.

— გუნდში განსაკუთრებით რა არ მოგწონთ?

— არ არის კლუბი, რომელსაც თავისი მცირედი სისუსტეები არ ჰქონდეს და ამ ხარვეზების გამოსწორებაა საჭირო. მაგრამ პირველი დივიზიონიდან გადმოსვლის შემდეგ პრემიერლიგაში წინა სეზონი ცუდად არ ჩავვიტარებია, მაგრამ მეტის მიღწევა შესაძლებელია და აუცილებელიც. ჩვენ ყველანი ოპიტიმსტურად ვართ განწყობილნი. თუ წლეულს შარშანდელზე უკეთეს თამაშს ვუჩვენებთ, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

— ახალ სეზონში რას გვპირდებით?

— ჩემი მთავარი მიზანი გუნდისთვის წარმატების მოტანაა. ამას ყოველთვის ვცდილობდი და მონდომებას არც ახლა დავაკლებ. მე მინდორზე თავდადება და გოლების გატანა მევალება. მაგრამ არც ისაა კარგი, სეზონში 30 ბურთი გაიტანო და შენმა გუნდმა მაინც ყველაფერი წააგოს. საერთო წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია. თანახმა ვარ, სეზონში გაცილებით ნაკლები გავიტანო, ოღონდ გუნდმა მეტს მიაღწიოს.

— წინა სეზონში ყველაზე დიდ პირად წარმატებად რას მიიჩნევთ?

— რა თქმა უნდა იმას, რომ გოლეიადორის თვისებებით გამოვჩინე თავი და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. ამას გარდა, ნაკრებშიც მიმიწვიეს და გუნდს ევროპის ჩემპიონატზე ვახლდი. მოკლედ, წინა სეზონი ჩემთვის აშკარად წარმატებული გამოდგა.

— ბრძანეთ, რომ სისუსტეები ნებისმიერს ახასიათებს და მეტის მიღწევა ყოველთვისაა შესაძლებელი...

— დიახ, ასეა. ეს ეხება როგორც გუნდს, ასევე ფეხბურთელებს. „სანდერლენდმა“ პრემიერლიგაში ერთი სეზონი გაატარა და, ვგონებ, მყარადაც დამკვიდრდა. ახლა შედეგის გაუმჯობესობაზე ფიქრია საჭირო. გამოვიტყდებით, შარშან უფრო მეტს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ვფიქრობდით, ვიდრე რაიმეს მოგებაზე. წლეულს წარმატების მიღწევაზეც ვიზრუნებთ.

— ახალ სეზონში „სანდერლენდიდან“ ყველაზე მეტად ვინ გამოჩენს თავს?

— ძნელია ამის თქმა. მით უმეტეს, რომ ჩვენ პირადულ წარმატებას ყოველთვის გუნდურს ვამჯობინებთ. ამიტომ არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ჩვენს შორის გამორჩეული. მთავარია, კლუბმა მიაღწიოს შედეგს.

— წინ მთელი სეზონია, გუნდმა ახალი ფეხბურთელები დაიმატა. ყველას აქვს თავისი ძლიერი მხარე. თავად ვის თვლით პრემიერლიგის მოგების ყველაზე რეალურ კანდიდატად?

— როცა ფავორიტებზე ჩამოვარდება საუბარი, ალბათ პირველ რიგში „მანჩესტერ იუნაიტედი“ უნდა ახსენო. მართლაც, ძალიან ძლიერი გუნდია. ის ახლა ინგლისში საუკეთესოა. ვგონებ, ვერც წლეულს აჯობებს ვინმე, თუმცა ვნახოთ, შეიძლება ვცდებოდე...

თარგმნა ნიკა შუბლაძემ

ლივერპულის სპონი

ინგლისი

გაყიდულია აბონემენტები, გაკრულია აფიშები, როგორც ყოველთვის, მოედნები ჩინებულად გამოიყურება. მოკლედ, ახალი სეზონისთვის ყველაფერი მზადაა — სამი დღეც და პრემიერლიგა იალქანს აუშვებს.

„ლივერპული“ ჩინებულ ხასიათზე ხვდება ათასწლეულის პირველ ჩემპიონატს. სახუმარო საქმე როდია — ბოლო საწვრთნელ მატჩში ჟერარ ულიეს გუნდი „ენფილდ როუდზე“ იტალიურ „პარმას“ დაუხვდა და 5:0 გაანადგურა. მართალია, სტუმრები მხოლოდ ახლა იწყებენ მზადებას, მაგრამ კანავაროს, ტურამის და მილოშევიჩის გუნდთან ასეთი ანგარიშით გამარჯვება ყველა შემთხვევაში მიღწევაა.

„წითლების“ გულშემატკივრები პირველად დიტმარ ჰამანმა გაახარა, როცა უზადო საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. მალე ნიკ ბარმბიმ, მასპინძელთაგან იმ დღეს საუკეთესომ, უპირატესობა გაორმაგა, კიდევ ერთმა ახალმა შენაძენმა, 34 წლის გარი მაკალისტერმა კი მეორე ტაიმის შუაში მატჩის ულამაზესი გოლი შეაგდო. ცხადია, არც მაიკლ ოუენი დარჩებოდა ხელცარიელი და ჯერ პენალტით, მერე კი თაურით საქმე მეტოქის განადგურებით დაამთავრა.

უკმაყოფილო არც ლივერპულის მეორე გუნდის, „ევერტონის“ თავკაცობა უნდა იყოს. ამათაც წარმატებით დაამთავრეს სეზონისწინა მზადება და გუნდის ყოფილი მწვრთნელის, ჯო როილის ახლანდელი შეგირდები 3:1 დაამარცხეს. „მანჩესტერ სიტისთან“ ეს მატჩი საქველმოქმედო გახლდათ და გუნდებმა მთელი შემოსავალი, 200 ათასი გირვანქა, „ევერტონის“ ყოფილ ნახევარმცველ ჯო პარკინსონს გადაურიცხეს.

„გუდისონ პარკზე“ შეკრებილმა მაყურებელმა პირველად იხილა უოლტერ სმიტის ექვსი ახალი შენაძენი, მათ შორის პოლ გესქოინი, რომელიც მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა. გოლებიც სწორედ ახალწვეულებმა გაიტანეს: ორი ნიკლას ალექსანდერსონმა, ერთიც — ალექს ნიარკომ. სტუმართა მხრიდან იან რაიტის შვილი, შონ რაიტ-ფილიპსი გამოირჩა. ეს შემცვლელად იყო შესული, ძირითადში კი „მანჩესტერ სიტის“ თავდასხმას ჟორჟ ვეა და „ვესტ ჰემიდან“ ნაყიდი კოსტარიკელი პაულო ვანჩოპე წარმოადგენდნენ.

იმავ დღეს ვანჩოპეს ყოფილი გუნდი მშობლიურ „აპტონ პარკზე“ ბასკ სტუმრებს მასპინძლობდა, თუმცა ამ თამაშში ისეთი რამეები მოხდა, სიტყვები — მასპინძელი, ამხანაგური, საწვრთნელი და მისთანები — მხოლოდ ფორმალურად შეიძლება ვიხმაროთ.

ბილბაოს „ატლეტიკი“ ლონდონს დერბიდან ჩავიდა, სადაც ქინქლაძის, ბარლისა და კარბონარის გარეშე მოთამაშე „დერბი ქაუნთის“ 2:1 მოუგო. იმ მატჩში ანგარიში სტეფანო ერანიომ გახსნა, მაგრამ ბასკებმა თამაში შემოატრიალეს და ურსაისისა და ხულენ გერეროს გოლებით იმარჯვეს. ურსაისმა „აპტონ პარკზეც“ გაიტანა და აქაც „ატლეტიკმა“ 2:1 მოიგო, თუმცა...

ჯულიან დიქსი „ვესტ ჰემის“ ყოფილი მცველია და აგრესიულობით მხოლოდ სახელგანთქმულ უელსელ ნაგიჟარ ვინი ჯონუსს ჩამოუვარდება. სწორედ მის საპატივცემულოდ გაიმართა აღნიშნული შეხვედრა. შედეგად, დიქსიც 200 ათასით გამდიდრდა.

პაოლო დი კანიო კი „ვესტ ჰემის“ მოქმედი ფეხბურთელია და სხვა სიკეთესთან ერთად იმითაა ცნობილი, რომ პრემიერლიგაში პირველმა მოუქნია მსაჯს ხელი და მიწაზე გაშხლართა.

ჰოდა, აბა ჯულიან დიქსის ბენეფისი დი კანიოს მონაწილეობით სხვაგვარად როგორ ჩაივლიდა: ჯერ 41-ე წუთზე შეწყდა თამაში, როცა ექს-არსენალელი ნაიჯელ უინთერბერნი ჩაუხტა ფეხებში ეჩებერიას — მოედანზე სტუმრთა მწვრთნელი გამოვარდა, ამან დი კანიო აღაშფოთა და ერთი გაწევ-გამოწევა შეიქნა.

მსაჯმა ვითომ ჩაცხრო ვნებანი, მაგრამ სამ წუთში სტუმრებს უკვე იგორ შტიმაცის ურსაისის ფეხებში ვარდნა არ მოეწონათ და შუა მოედანზე ზუსტად 17 კაციანი ჩხუბი ატყდა. კიდევ ორნი — მწვრთნელები — სარბენ ბილიკზე შეიბნენ. მხოლოდ პოლიციის ჩარევამ დააშოშმინა ფეხბურთელები, თუმცა მსაჯმა ორივე გუნდის მწვრთნელს აღელვებულ მოთამაშეთა შეცვლა მოსთხოვა. „ორი-სამი კაცი გაიყვანეო, მირჩია მსაჯმა, მაგრამ მე ჩავთვალე, რომ ერთი დი კანიოს გარიდებაც საკმარისი იქნებოდა“ — თქვა მატჩის შემდეგ ჰარი რედნაპმა, რომელმაც დიდი ხვეწნით დაითანხმა იტალიელი, მაგრამ გასვლისას ამან მაისურა, კაპიტნის სამკლაურიანად, შორს მოისროლა. ბასკთაგან მსგავსი „პატივი“ ეჩებერიას ერგო.

მეორე ტაიმში ნაღდი თამაში გაჩაღდა, მითუმეტეს, რომ მოედანზე ნახევარი საათით თვით იუბილარი დიქსიც გამობრძანდა. სამივე გოლი თაური დარტყმებით გავიდა: ურსაისისა პოლ კიტსონმა გაქვითა, იესტეს 85-ე წუთზე გატანილს კი მასპინძლებმა ვეღარაფრით უპასუხეს.

„საერთოდ, პრემიერლიგის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე „უემბლიზე“ „ჩერითი შილდისთვის“ ვიბრძვით, მაგრამ ახლა „სტივნეჯ ბოროუსთან“ თამაში მოგვიწია“ — თქვა არსენ ვენგერმა ქვედალიგელ მეტოქესთან შეხვედრის წინ. „არსენალის“ თავკაცმა ბოლო საწვრთნელ მატჩში 18 ფეხბურთელი გამოსცადა და მხოლოდ ოთხი — კიოუნი, გრიმანდი, პარლოუ და ბერხკამპი — დაასაქმა საათნახევრით. ვიცე-ჩემპიონმა 7:0 იმარჯვა ტიერი ანრის (7, 13, 19), ნვანკვო კანუს (46), დენის ბერხკამპის (54, 56) და რეი პარლოუს (80) გოლებით.

კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრაში „ქოვენთრიმ“ 1:3 წააგო ინგლისში სტუმრად მყოფ ამსტერდამის „აიაქსთან“.

ზიგა კოგანიძე

ამხანაგური მატჩები

16 აგვისტო

ჩეხეთი — სლოვენია

ჩეხეთი:

მეკარეები: იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), რადეკ ჩერნი (სლავია), ლადისლავ მაიერი (რაპიდი, ავსტრია);

მცველები: რენე ბოლფი, მილან ფუკალი (ორივე სპარტა), ლუკას დოშეკი, კარელ რადა (ორივე სლავია), მარეკ ნიკლი (ნიურნბერგი, გერმანია), პეტრ ვლჩეკი (სტანდარდი, ბელგია);

ნახევარმცველები: რადეკ ბეიბლი (ლანსი, საფრანგეთი), პაველ ჰორვატი (სპორტინგი, პორტუგალია), მარეკ იანკულოვსკი (ნაპოლი, იტალია), მიხალ კოლომაჟნიკი (ტეპლიცე), ირჟი იაროშიკი (სპარტა);

თავდამსხმელები: მარეკ ჰაინცი (ჰამბურგი, გერმანია), მარეკ კიხლი (სპარტა), იან კოლერი (ანდერლეხტი, ბელგია), პაველ ვერბირი (ტეპლიცე)

უკრაინა — ჩინეთი

უკრაინა:

მეკარეები: ვიაჩესლავ კერნოზენკო, ილია ბლიზნიუკი (ორივე დინამო);

მცველები: ვლადისლავ ვაშჩუკი, იური დმიტრულინი, ალექსანდრ გოლოვკო, ანდრეი ნესმაჩნი, სერგეი ფიოდოროვი (ყველა დინამო), მიხაილ სტაროსტიაკი, სერგეი პოპოვი (ორივე შახტარი);

ნახევარმცველები: ანდრეი გუსინი, დმიტრი მიხაილენკო, არტიომ იაშკინი, რომან მაქსიმიუკი, ვიტალი კოსოვსკი, გენადი მოროზი (ყველა დინამო), ანატოლი ტიმოშჩუკი, სერგეი კოვალევი, გენადი ზუბოვი (ყველა შახტარი);

თავდამსხმელები: სერგეი სერებრენნიკოვი (დინამო), ანდრეი ვორობეი (შახტარი)

ბედის ამბავში

სარბიელ-პატრული 02: გუშინწინ ქალაქ მანჩესტერის ერთ-ერთ გზაზე-

ძნელი სათქმელია, უბედო კაცია ავსტრალიელი მარკ ბოზნიჩი თუ პირიქით. ერთი მხრივ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეკარეა და გუნდში როი კინის შემდეგ ყველაზე დიდი ხელფასი აქვს, მაგრამ თუ სხვა მხრიდან შევხედავთ, ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და კლუბის გამოცვლას ლამობს.

აი ახლაც, გუშინწინ, მანჩესტერის ერთ-ერთ გზატკეცილზე ბოზნიჩი ავტოავარიაში მოჰყვა: მის 100 ათას დოლარიან BMW M3-ს უკნიდან „მერსედესი“ შეეჯახა, თავის მხრივ კი, ინერციით, მეკარის მანქანა წინ მავალ „ვოლვოს“. მანქანა ცუდ დღეშია, ფეხბურთელი კი ოდენ შოკით გადარჩა. ბედია თუ უბედობა?

ყველა შემთხვევაში, როგორც ეტყობა, მარკი კარგი ადამიანია. როგორც „ვოლვოს“ მძღოლმა ჟურნალისტებს განუცხადა, „ბოზნიჩს შეეძლო ყველაფრის ანახლაურება დამნაშავისთვის მოეთხოვა, მაგრამ თავად შოკში ჩავარდნილმა „მერსედესიდან“ გადმოსული შეშინებული მოხუცი მძღოლი რომ დაინახა, ხმა არ ამოუღია და იქაურობას უსიტყვოდ გაეცალა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილარი

ბორუსია (მიონხენგლადბახი, გერმანია)

დაარსდა: 1900 წლის 1 აგვისტოს
პრეზიდენტი: ადალბერტ ჯორდანი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
სტადიონი: „ბიოკელბერგი“ (ტევადობა 34 500)
გერმანიის ჩემპიონი (5): 1970, 71, 75, 76, 77
გერმანიის თასის მფლობელი (3): 1960, 73, 95
უეფას თასის მფლობელი (2): 1975, 79
ევრომის ჩემპიონთა თასის ფინალისტი (1): 1977

ისტორიაში ჩაკარგული დიდებულება



ჰენეს ვაისვაილერი

უდო ლატეკი



იუპ ჰაინკესი

ალან სიმონსენი

ევრო 96-ის შესარჩევ ციკლში ქართველების მეტოქე გერმანელებს „გლადბახის“ ყოფილი ვარსკვლავი ბერტი ფოგთსი მთავარმწვრთნელობდა

მიონხენგლადბახის „ბორუსია“ თბილისელებმა პირველად 1977 წელს ვნახეთ. იმ გაზაფხულზე, ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გერმანელებმა კიევის „დინამოს“ მოუგეს. „გლადბახის“ ვარსკვლავებს სანაკრებო მატჩებიდან ადრეც ვიცნობდით, მაგრამ ვაისვაილერისა და ლატეკის ნაშენი გუნდი მაშინ გავიცანით, როცა უკვე საქვეყნოდ გაეთქვა სახელი.

ეს იყო ჩინებული ფეხბურთელებით შეკრული, შემტევი და მობილური გუნდი: ხისტი და უშიშარი მცველი ბერტი ფოგთსი, დიდებული შუახაზელი რაინერ ბონჰოფი, ჭკვიანი პლეიმეიკერი ჰერბერტ ვიმერი, ალღოიანი მეგოლე იუპ ჰაინკესი და გენიალური დანიელი ალან სიმონსენი. აი, ის ბირთვი, რომელსაც „ბორუსიას“ სიძლიერე ემყარებოდა.

70-იანი წლები კლუბის ოქროს ხანად ითვლება. მანამდე კი, დაარსებიდან სამოც წელიწადზე მეტს, თავისი ქვეყნის გარეთ არავინ იცნობდა — რეგიონალური გაქანების გუნდი გახლდათ.

1964 წელს „გლადბახში“ ახალი მწვრთნელი, 55 წლის ჰენეს ვაისვაილერი მივიდა. მივიდა და დაიწყო... „ბორუსია“ ბუნდესლიგაში აღზევდა. სამჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი (1970, 71, 75), თასის მფლობელი (1973), 1975-ში უეფას თასიც მოიგო. ფინალის პირველ მატჩში ჰოლანდიურ „ტვენტეს“ უგოლოდ დაშორდა, მეორეში კი 5:1 მოუგო. ორი სიმონსენმა გაიტანა, სამი ჰაინკესმა. ჰაინკესივე 11 გოლით ტურნირის საუკეთესო მეგოლე გახდა.

ვაისვაილერმა გუნდში 11 წელიწადს იმუშავა და „გლადბახი“ ევროპის საუკეთესოთა შორის დააყენა. ამ მწვრთნელს თურმე ურყევი ავტორიტეტი და ფეხბურთელებზე უდიდესი გავლენა ჰქონია. თავის დროზე კი კიოლნის სპორტულ კოლეჯში მუშაობდა, რამდენიმე თეორული წიგნიც დაუწერია ფეხბურთზე. 1975 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც „გლადბახთან“ ერთად ბუნდესლიგის მესამე ტიტული და უეფას თასი მოიგო, ესპანურ „ბარსელონაში“ გადაბარგდა. ბოლოს ციურიხში ცხოვრობდა და „გრასჰოპერს“ წვრთნიდა. 1983 წლის 5 ივლისს ინფარქტით გარდაიცვალა.

წლეულს გაზაფულზე ჟურნალმა „კიკერმა“ გერმანიის საფეხბურთო კავშირის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა გამოუშვა. სპეციალისტებისა და ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად, საუკუნის მწვრთნელთა ათეულში ჰენეს ვაისვაილერი ლეგენდარული ზეპ ჰერბერგერის შემდეგ მეორე ადგილზეა... თავად განსაჯეთ, ვაისვაილერმა გაუსწრო ჰელმუტ შონსა და ფრანც ბეკენბაუერს, რომლებმაც გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახადეს... ესეც ვაისვაილერის ავტორიტეტი, რომელიც მას „გლადბახში“ მუშაობამ დაუმკვიდრა.

„ბორუსიას“ მწვრთნელებში უმართლებდა. ვაისვაილერი უდო ლატეკმა შეცვალა, რომელსაც ერთი წლით ადრე მიუხენის „ბაიერნთან“ ერთად ჩემპიონთა თასი მოეგო. ლატეკმა „გლადბახში“ ოთხი წელიწადი იმუშავა, ორჯერ (1976, 77) ჩემპიონი გახადა, 1979-ში მეორედ მოაგებინა უეფას თასი, ხოლო 1977-ში ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა, სადაც „ლივერპულთან“ 1:3 წააგეს. მაკდერმოტის გოლი ალან სიმონსენმა გაქვითა, მაგრამ მერე ისევ ბრიტანელებმა იძალეს, სმიტმა და ნილმა კიდევ ორჯერ გაუტანეს მეკარე კნაიბს.

ორი წლის შედეგ „გლადბახმა“ მაინც მიაღწია ევროტრიუფს. უეფას თასის ფინალში, ბელგრადში „ცრვენა ზვეზდასთან“ 1:1 ითამაშა, ხოლო შინ სიმონსენის გოლით 1:0 მოიგო და თასსაც დაეუფლა. სხვათა შორის, სიმონსენი 9 გოლით იმ გათამაშების საუკეთესო მეგოლე გახდა. უნიჭიერესმა დანიელმა „ბორუსიას“ სამივე ევროფინალში მიიღო მონაწილეობა. 1977-ში კი „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთითაც“ დააჯილდოვეს.

იუპ ჰაინკესი, კაცი, რომლის მთავარმწვრთნელობითაც ორი წლის წინ მადრიდის „რეალმა“ ჩემპიონთა თასი მოიგო, კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია. ეგ კი არა, ბუნდესლიგაში 220 ბურთი გაიტანა და ამ მხრივ მხოლოდ გერდ მიულერსა (365) და კლაუს ფიშერს (268) ჩამორჩება. ჰაინკესი, ფოგთსთან, ბონჰოფთან და ვიმერთან ერთად, გფრ-ის ნაკრებში 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონიცაა.

მაგრამ ჰყავდა „გლადბახს“ ერთი ფეხბურთელი, რომელიც დღემდე იქაურთა კერპად რჩება — გიუნტერ ნეცერი. მიონხენგლადბახში დაბადებული კაცი. „ბორუსიაში“ 1963 წელს ჩაირიცხა და 73-მდე ითამაშა. მერე მადრიდის „რეალში“ გადავიდა. თუ ბეკენბაუერს „კაიზერს“ ეძახიან, ნეცერს გერმანელებმა „მეფე“ (Der King) დაარქვეს. დღემდე მიიჩნევენ, რომ ნეცერი გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტექნიკური მოთამაშე იყო. 1972 და 73 წლებში ის ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. 1972 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი ბადალი არ ჰყავ და.

ასეთი იყო მიონხენგლადბახის „ბორუსია“, გუნდი, რომელიც თავისი წარსულით გერმანიაში მარტო „ბაიერნს“ თუ ჩამოუვარდება. თუმცა, გერმანელებისთვის დღემდე ესეც საკამათო საკითხია.

„გლადბახის“ ბოლო მიღწევა 1995-ში ქვეყნის თასის მოგებაა. შარშან მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა და ახლა დიდი იმედი აქვთ, რომ მწვრთნელი ჰანს მაიერი წლეულს მაინც შეძლებს ოდესღაც დიდებული გუნდის ელიტაში დაბრუნებას. ეს ჰანს მაიერი კი იცით ვინ არის? ვინ და კაცი, რომელიც 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ იენის „კარლ ცაისის“ მთავარი მწვრთნელი იყო... ახლა ის 58 წლისაა, გარეგნულად სულაც არ შეცვლილა და „გლადბახის“ ოდინდელი დიდების აღსადგენად იბრძვის.

არადა, განა დაქვეითების ღირსია გუნდი, რომელსაც ნახსენები მოთამაშეების გარდა დიდ ფეხბურთში ული შტილიკე, ლოთარ მათეუსი, ფრანკ მილი, შტეფან ეფენბერგი და სებასტიან დაისლერი გაუყვანია...

ერთი თავსატეხიც „ბორუსიას“ ოფიციალურ სანტერნეტო ვებგვერდში კლუბის წარმომადგენლები გულშემატკივარს საუკუნის „გლადბახის“ შედგენას სთავაზობენ და საუკეთესოთა არჩევას სთხოვენ. კანდიდატთა სიის გადახედვისთანავე ნათელი ხდება: „მიონხენგლადბახი“ ის გუნდია, რომელსაც მეოცე საუკუნის გერმანული ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს.

მიონხენგლადბახის „ბორუსია“ 2000-2001: მარცხნიდან დგანან: ჰანს მაიერი (მწვრთნელი), მარკუს ჰაუსვაილერი, პეტერ ნილსენი, იგორ დემო, შტეფან კორელი, მარსელო პლეტნი, არი ვან ლენტი, ლოურენს აიდო, კურტ ვიგერინგი (ექიმი), კლაუს ფიშერი (ფიზიოთერაპევტი);
შუა რიგში: მიხაელ ფრონცეკი (მწვრთნელის თანაშემწე), მანფრედ შტეფესი (მწვრთნელის თანაშემწე), მარკუს რაიტერი, ბერტილ ტერ ავსტი, ძელკო სოპიჩი, გვიდო ლანზაატი, მატიას ჰაგნერი, შტეფან შტასინი, მიხაელ კლინკერტი, მარკუს ბრაუერი (მწვრთნელის თანაშემწე),
როლფ ჰალსვიტი (მწვრთნელის თანაშემწე); სხედან: ზენონ ჟორდიკოვსკი (ბასკეტისტი), პეტერ ვან ჰუდტი, ბენჯამინ შუსლერი, მარკუს ოშტჰოფი, უვე კამპსი, სლადან ასანინი, ბერნდ მაიერი, მაკს ებერლი, მარსელ ვიტეჩეკი, ბერნდ კორზინეკი

სოლომონ გულისაფვილი

ჩემპიონმა კაპიტანი წაიყვანა

ვახტანგ ნაცვლიშვილი ბასკოში გადავიდა

საქართველოს ჩემპიონმა ბათუმის „ბასკომ“ სეზონთაშორის პერიოდში და, იქნებ, ისტორიაშიც ყველაზე სერიოზული ტრანსფერი განახორციელა. კლუბმა ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა საქართველოს ნაკრების კაპიტანს, ფორვარდ ვახტანგ ნაცვლიშვილს.

24 წლის ვახტანგ ნაცვლიშვილი დაახლოებით ერთი თვე ვარჯიშობდა „ბასკოში“. იგი გუნდს ბორჯომშიც ახლდა შეკრებაზე. იმ დროს გუნდისა და კალათბურთელის ურთიერთობა ამაზე შორს არ წასულა, თუმცა ნაცვლიშვილი არ გამორიცხავდა „ბასკოში“ გადასვლის ვარიანტს. ამ დღეებში კი ყველაფერი ოფიციალურად გადაწყდა — ვახტანგ ნაცვლიშვილი მომავალ სეზონს „ბასკოში“ გაატარებს.



ვახტანგ ნაცვლიშვილი

ფოტო: დავით ლაზარაშვილის

ვახტანგ ნაცვლიშვილის კარიერა 1992 წელს დაიწყო თბილისის „მართვეში“. „ბასკო“ მისი მეხუთე ქართული კლუბია — შუალედებში იყო თბილისის „კაქტუსი“, „ვითა“ და სტუ. ნაცვლიშვილს უცხოეთშიც მოუსინჯავს ძალა. ჯერ ამერიკაში, ბოსტონ კოლეჯში თამაშობდა, შემდეგ კი ბულგარეთის, პორტუგალიის, ესპანეთის და ისრაელის კლუბებშიც იასპარეზა. შარშანდელი სეზონი ვახტანგმა ისრაელის პირველი დივიზიონის „ბნეი ჰერცლიაში“ დაიწყო, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატის პირველსავე ტურში მძიმედ დაშავდა, მუხლი საოპერაციო გაუზდა და თითქმის ერთი წელიწადი ვერ ვარჯიშობდა. ამჟამად ნაცვლიშვილი ურეკშია, სადაც „ბასკოს“ მორიგი შეკრება აქვს.

ბათუმელთა რიგებში კიდევ ერთი სიახლეა. გუნდში თბილისის ასკ-დან გადავიდა 15 წლის ფორვარდი, საქართველოს კადეტთა ნაკრების წევრი დავით საყვარელიძე. მისი კონტრაქტიც ერთწლიანია. „ბასკო“ ამაზე შეჩერებას არ აპირებს — კლუბის ვიცე-პრეზიდენტის მერაბ ემირიძის თქმით, გუნდის დაკომპლექტება არ დასრულებულა და რამდენიმე სიახლე კიდევ იქნება.

ათი წლის იუბილარის სადებიუტო მზადება

ახლოვდება სექტემბერი, როდესაც დაიწყება ევროტურნირების ახალი ციკლი. აღნიშნული ასპარეზობისთვის საქართველოს ერთადერთი გუნდი ემზადება — თბილისის „მაკაბი“. იგი კორაჩის თასზე ითამაშებს. გვესაუბრება თბილისის „მაკაბის“ პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი ჯამლეთ ხუხაშვილი:

— „1990 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა საქართველოს „მაკაბის“ რეპუბლიკური ორგანიზაცია, რომლის ძირითად სახეობას წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს კალათბურთი. 1990 წელს ჩემმა ვაჟმა, მიშიკო ხუხაშვილმა შექმნა საკალათბურთო გუნდი „მაკაბი“, რომელიც ორი წლის შემდეგ კლუბად გადაკეთდა. ამ ხნის განმავლობაში გამოვდიოდით ჯერ პირველ, ხოლო შემდეგ უმაღლეს ლიგაში. მიგვიღია მონაწილეობა მრავალ საერთაშორისო ტურნირში. ვისთვისაც სიტყვა „მაკაბი“ გაუგებარია, მინდა განვუმარტო, რომ ეს არის რეგიონი ისრაელში, რომლის წარმომადგენლებმაც დაახლოებით ორი ათასი წლის წინ გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს მარბიელ არაბებს. არავინ იფიქროს, რომ საქართველოში საკალათბურთო კლუბი „მაკაბი“ ებრაული გუნდი იყოს. იგი ქართულ-ებრაული კლუბია და მისი კარი ღიაა ყველა ეროვნების წარმომადგენლისთვის.

„მაკაბი“ არის საქველმოქმედო კლუბი ყოველგვარი ორგანიზაციული ბიუჯეტის გარეშე, რომელიც არსებობს მხოლოდ და მხოლოდ შემოწირულობებით. გვეხმარებიან მეგობრები, რა თქმა უნდა, საქართველოდან, აგრეთვე ისრაელიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შვეიცარიიდან, რუსეთიდან... სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა, ისრაელის მოქალაქე რუსმა ებრაელმა, რომელიც ამჟამად უკრაინაში მოღვაწეობს, დააფინანსა ჩვენი მონაწილეობა კორაჩის თასზე.

კორაჩის თასზე „ბკ გროდნო 93“-ის სახით მართლაც ძლიერი მეტოქე შეგვხვდა. ჩვენ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გავედით, ბელარუსის ჩემპიონი „ბკ გროდნო 93“ კი კორაჩის თასთან ერთად რუსეთისა და ჩრდილოეთ ევროპის ლიგაშიც ასპარეზობს. იქ სუსტი და უპერსპექტივო გუნდების მონაწილეობის საკითხს საერთოდ არ განიხილავენ. აღნიშნულის მიუხედავად, არ მინდა, ჩვენი და ბელარუსის ჩემპიონის შანსებზე წინასწარ ვილაპარაკო. ერთი რამის თქმა კი დარწმუნებით შემიძლია — იოლად არაფერს დავთმობთ.

თითქმის თვეზე მეტია, რაც ორჯერადი ვარჯიშებით „მაკაბი“ თბილისის სპორტის სასახლეში ემზადება. გუნდიდან წავიდნენ უკანა ხაზის მოთამაშეები, ტყუპები — ირაკლი და დათო ბერიშვილები. მათ თსუ-სთან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი, მაგრამ თავისუფალ დროს მაინც ჩვენთან ვარჯიშობენ. ასევე „მაკაბისთან“ ერთად ემზადებიან დავით თორთლაძე (სტუ), გოჩა წოწელია (თსუ), ირაკლი შანიძე („ვითა“), თემურ მანველიშვილი („გორი“), დავით აკოლაშვილი („შევარდენი“) და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელი. ასევე ჩვენთან ვარჯიშობს კახა შენგელია, რომელსაც ძველი კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალი ჯერ არ გაუფორმებია. ზემოთ ნახსენები კალათბურთელებიდანაც ზოგთან გავაფორმეთ კონტრაქტი და ზოგის საკითხიც ჯერაც განხილვის პროცესშია.

მართალია, ყველა რგოლში გვყავს ისეთი კალათბურთელები, რომლებისაც გვეიმედება, შავკანიანი სპორტსმენებიც დავიმატეთ, მაგრამ სასურველი დონისგან მაინც შორს ვართ. ჯერ ისიც არ ვიცით, რა შემადგენლობით ვითამაშებთ კორაჩის თასზე. ამ მხრივ 10 სექტემბრამდე ყველაფერი გაირკვევა.

„მაკაბში“ ჩემს დამხმარე მწვრთნელებად მუშაობენ დავით რიბაშვილი და მიშა ხუხაშვილი. რიბაშვილი მომავლის მწვრთნელად მიმაჩნია, გამოცდებიც ჩაბარა და როცა მიზანშეწონილად ჩავთვლი, მთავარ მწვრთნელადაც დავნიშნავ.“

როლანდ ლაბუჩიძე

ფოტო: დავით ლაზარაშვილის

კახა შენგელიას (№15) „მაკაბისთან“ ძველი კონტრაქტი დაუმთავრდა, ახალი ჯერ არ გაუფორმებია

ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის (NEBL) პირველმა წევრმა საქართველოდან, ქვეყნის ჩემპიონმა ბათუმის „ბასკომ“ ამ დღეებში ლიგის ოფისიდან ოფიციალური დოკუმენტაცია მიიღო. ლაპარაკია გათამაშების სტრუქტურასა და ზოგიერთ საორგანიზაციო საკითხზე. შეგახსენებთ, რომ მომავალ სეზონში „ბასკო“ ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის მეორე დივიზიონში ითამაშებს. ამ ტურნირს „ჩელენჯ ქაფ“ ეწოდება, რაც ქართულად „გამოწვევის თასს“ ნიშნავს. NEBL-მა „ბასკოს“ ამ ტურნირში მონაწილეობის საბოლოო დადასტურება მოთხოვა, რაზეც, ცხადია, დადებითი პასუხი მიიღო.

ჩრდილოელებმა ბათუმელებს ტურის გამართვა შესთავაზეს

„ჩელენჯ ქაფში“ 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. პირველ ჯგუფურ ეტაპზე მათ ოთხ ჯგუფად დაყოფენ. გათამაშება ტურებად გაიმართება, ანუ თითო ჯგუფის გუნდები ერთ ქალაქში შეიკრიბებიან და ერთმანეთს წრიულად ეთამაშებიან. ამგვარი ტური ორი იქნება, პირველი დეკემბერში გაიმართება, მეორე — თებერვალში.

მომდევნო ეტაპზე 10 გუნდი გადის — ჯგუფების პირველ-მეორეადგილოსნები და ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი. მათ დაემატებათ NEBL-ის პირველი დივიზიონის ოთხი აუტსაიდერი და „სკანდინავიის თასის“ ორი ფინალისტი. ეს 16 გუნდი მეორე ჯგუფურ ეტაპზე შექმნის ოთხ ოთხგუნდიან ჯგუფს. თამაშები აქაც ორ ტურად გაიმართება.

ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ პლეი ოფის მეოთხედფინალში. თამაშები მოეწყობა მიმოსვლით და ორ მოგებამდე. გამარჯვებულები „ოთხთა ფინალში“ გავლენ და „ჩელენჯ ქაფის“ გამარჯვებულს გამოავლენენ, ხოლო დამარცხებულები პირველი დივიზიონის ორი საგზურისთვის გაგრძელებენ ბრძოლას. ამრიგად, 2001-2002 წლების სეზონში NEBL-ის პირველ დივიზიონში „ჩელენჯ ქაფიდან“ ექვსი გუნდი იასპარეზებს — „ოთხთა ფინალის“ მონაწილენი და მეოთხედფინალში დამარცხებულთა შორის ორი საუკეთესო.

პირველი ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა აგვისტოს ბოლოს გაიმართება ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში. იქ ყველა კლუბის წარმომადგენლები მოიყრიან თავს. „ბასკო“ ვილნიუსში ვიცე-პრეზიდენტ მერაბ ემირიძეს მიავლენს.

NEBL-ის ხელმძღვანელებს „ბასკოსთვის“ შეუთავაზებიათ, ერთ-ერთი ტური ბათუმში ჩაატარეთო. მერაბ ემირიძის თქმით, ბათუმს ამის გაკეთება შეუძლია. საქმე ის გახლავთ, რომელ ტურს უმასპინძლებენ — დეკემბრისას თუ თებერვლისას. ბათუმელებს, ცხადია, თებერვალში ურჩევნიათ სტუმრების მიღება, რადგან მეორე ტური გადაიწყვეტი იქნება და ჯგუფიდან გამსვლელობაც მაშინ გაირკვევა. რა ვერდიქტს გამოიტანს NEBL, ეს ვილნიუსში გამოჩნდება აგვისტოს ბოლოს.

ევროპული ამბები

თურქეთი

თოფაშის თავი გალათასარაიში

სატრანსფერო სეზონის მიწურულს სტამბოლის „გალათასარაიმ“ ორი მეტად სერიოზული შენაძენი გააკეთა. კლუბმა კონტრაქტის პირობები შეუთანხმა და დღე-დღეზე აიყვანს ბურსას „თოფაშის“ ყოფილ ფორვარდს მურათ ქონუქს. 28 წლის და 203-სანტიმეტრიანი ქონუქი ერთთვიან სამხედრო-სავალდებულო შეკრებაზე იმყოფებოდა და „გალათასარაისთან“ მოლაპარაკებაც ამიტომ გაჭიანურდა. კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა.

„გალათასარაის“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. გუნდის სათავეში იმავე „თოფაშის“ ყოფილი დამრიგებელი, თოლგა ონგორენი მოვიდა. ონგორენმა იანვარში ჩაიბარა. „თოფაში“ და თურქეთის ჩემპიონატი და თასი მოაგებინა. ბურსას გუნდის დაშლის შემდეგ ონგორენი ორი თვე უმუშევარი იყო, მაგრამ „გალათასარაიმ“ კარგი სპეციალისტი უსაქმოდ არ დატოვა და თავისთან წაიყვანა. ონგორენი ამ დღეებში დაიწყებს სტამბოლელთა წვრთნას. მისი თქმით, უახლოეს მომავალში „გალათასარაი“ სამ უცხოელ კალათბურთელს შეიძენს.

საბერძნეთი

გუროვიჩი იდეურ მამას უბრუნდება

„ბარსელონას“ იუგოსლავიელი ფორვარდი მილან გუროვიჩი სალონიკის „არისში“ გადადის. წინასწარი ინფორმაციით, ბერძნულმა კლუბმა უკვე გამოისყიდა „ბარსელონასგან“ გუროვიჩის კონტრაქტი. ამ დღეებში „არისის“ ხელმძღვანელები და კალათბურთელი ფინანსურ საკითხებზე მოილაპარაკებენ და ხელშეკრულებასაც გააფორმებენ.

„არისის“ მწვრთნელია ხორვატი დრაგან საკოტა, რომელსაც გუროვიჩი „იდეურ მამას“ უწოდებს. სწორედ იგია იუგოსლავიელის სალონიკში გადაყვანის ინიციატორი. გუროვიჩი 1994-1998 წლებში უკვე თამაშობდა საბერძნეთში, ათენის „პერისტერში“. ორი სეზონის განმავლობაში მისი მწვრთნელი საკოტა იყო. იუგოსლავიელი კალათბურთელი 1998 წელს გადავიდა „ბარსელონაში“. კონტრაქტის მიხედვით, გუროვიჩი კიდევ ერთ წელიწადს უნდა გაჩერებულიყო კატალონიურ კლუბში, მაგრამ მისი და „ბარსელონას“ ურთიერთობა გაფუჭდა და მხარეებმა გაყრა ამჯობინეს.

ვინ რისთვის იარა ბაზარში?

თავისუფალ აგენტთა ბაზარი სრული დატვირთვით მუშაობს. ზოგმა გუნდმა უკვე გააკეთა სასურველი არჩევანი, ზოგი ჯერ ფიქრობს და გადაწყვეტილებას მერე მიიღებს. მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი თავისუფალ აგენტთა ბაზარს და ვნახოთ, ვინ ვინ შეიძინა, ვინ ვის შეძენას აპირებს და ვის რას მოუტანს ესა თუ ის შენაძენი.



შონ კემპი (№4) თავისუფალი აგენტი არ არის, მაგრამ მეტად დიდ ვაჭრობაში მიიღებს მონაწილეობას

ტიმ ჰარდეევეის და მწვრთნელ პატ რაილის თანამშრომლობა „მაიამეში“, სავარაუდოდ, გაგრძელდება

მაიამი ჰითი: თუკი პორტლენდელ ბრაიან გრანტს დაისაკუთრებს, ლიგაში უძლიერესი სასტარტო ხუთეული ეყოლება — ტიმ ჰარდეევი, ედი ჯონსი, ბრაიან გრანტი, ენტონი მეისონი, ალონზო მურნინგი. მართალია, ჰარდეევი ჯერ კიდევ თავისუფალი აგენტია, მაგრამ ახლავე შეგვიძლია მაიამელად ჩავთვალოთ.

ორლანდო მეჯიკი: გრანტ ჰილი, ტრეისი მაკგრეიდი, ჯონ ამაეჩი... ამაზე მეტი რაღა გინდა...

სან ანტონიო სფურზი: დენი ფერი იმ ყაიდის ვეტერანია, რომელიც გუნდს სჭირდება. ტიმ დანკანის შენარჩუნება და დერიკ ანდერსონის აყვანა „სფურზს“ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ უპირველეს კონკურენტად აქცევს.

იუტა ჯაზი: ამ გუნდის ჩამოწერა ჯერ ნაადრევია, რადგან დენი მენინგი მას მებრძოლ სულს შეუნარჩუნებს.

ინდიანა პეისერზი: რაც მთავარია, შეინარჩუნა რეჯი მილერი. ჯალენ როუზი და ოსტინ კროშერი ძალიან დიდი ძალაა, მაგრამ მარკ ჯეკსონის დაკარგვაც არ ჩაივლის უკვალოდ.

შარლოტ ჰორნეთსი: ფორვარდ-ცენტრ ბრედ მილერის შენარჩუნება გუნდისთვის უმთავრეს ამოცანად იქცა. დრო „შარლოტის“ მოკავშირეა: მილერს სერიოზული წინადადება ჯერ არ მიუღია და მალე სხვა გზა აღარ ექნება — ძველ გუნდში უნდა დარჩეს.

მილუოკი ბაქსი: შეინარჩუნა დერვინ ჰემი. ვითომ არის ეს ზეიმის მიზეზი?

პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი: კლუბის პრეზიდენტი ბობ ვიტსიტი შვებულებაში მანამ არ წავა, სანამ ერთ გარიგებას არ გაჩარხავს: რამდენიმე გუნდი ივაჭრებს და საბოლოოდ შონ კემპი „კლივლენდიდან“ „პორტლენდში“ გადავა.

დენვერ ნაგითსი: თავიდან ერთი-ორჯერ ივაჭრა. მერე კი უმთავრესი ის იყო, რომ ანტონიო მაკდაიესი ამერიკის ოლიმპიური ნაკრების წევრად დაასახელეს.

სიეტლ სუპერსონიქსი: რაშარდ ლუისის შენარჩუნებით და ახალბედა ოლუმიდე ოიედეჯის აყვანით წინა ხაზი სოლიდურად გამოიყურება, მაგრამ სიეტლელებს „კლიპერსის“ ფორვარდ მორის ტეილორისკენ გაურბით თვალი. ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობენ რაღაც გრანდიოზული გაცვლის შესახებ, რომელშიაც ქართველი ვლადიმერ სტეფანიაცაა გარეული.

საკრამენტო კინგზი: ჯონ ბერის შენარჩუნება მეტად გონივრული საქციელი იყო.

ნიუ ჯერსი ნეთსი: ხელიდან გამოგლიჯა „ლეიკერსს“ კენდალ გილი.

დალას მავერიქსი: ყური მოკრა, რომ ჰოვარდ ეისლომ „იუტა ჯაზის“ ხელფასზე უარი თქვა და წამსვე თავად შესთავაზა 2,25 მილიონი. ეისლის ჯერ არ უპასუხია.

ფინიქს სანზი: დაუჯერებელია, მაგრამ ანდრე ვულრიჯი და რუბენ გერსიზი შეიძლება შემადგენლობაში მოხვდნენ.

ტორონტო რეპტორზი: იქნებ 35 წლის მარკ ჯეკსონისთვის ოთხწლიანი კონტრაქტი მეტად ბანგრძელია, მაგრამ ეს კაცი ახალგაზრდებს ბევრ რამეს ასწავლის. ცუდია, რომ ტრეისი მაკგრეიდი ჯეკსონის გაკვეთილებს ვერ დაესწრება.

კლივლენდ კავალიერზი: აუცილებლად დაკარგავს შონ კემპს. მთავარია, მის სანაცვლოდ მაქსიმალურად ბევრი და, შეძლებისგვარად, ხარისხიანი მოთამაშე მიიღოს.

ჰიუსტონ როკეტსი: კუტინო მობლის შენარჩუნება აუცილებელი იყო. „სიეტლის“ არ იყოს, კლიპერსელი მორის ტეილორი „ჰიუსტონსაც“ თვალს ჭრის.

მინესოტა ტიმბერვულვზი: ჯერ რა ივაჭრა? ამიტომ სათადარიგო გამთამაშებელი მაინც მოსაძებნი ჰყავს.

დეტროიტ პისტონზი: დაკარგა გრანტ ჰილი, შეინარჩუნა მიკი მური. კომენტარი საჭიროა?

ნიუ იორკ ნიქსი: აქამდე უტყვმა გუნდმა ბოსტონელ დენი ფორსტონს დაუწყო ლაპარაკი. ახლა გაირკვა, რომ ფორსტონს „მაიამეში“ თამაში სურს.

ბოსტონ სელტიქსი: ნამდვილად გამოეთხოვება დენი ფორსტონს. „ჩიკაგოდან“ მოსული რენდი ბრაუნი ეცდება, ბოსტონელებს კეი სი ჯონსი ან დენის ჯონსონი მოაგონოს.

ჩიკაგო ბულზი: 90-იანი წლების „დიდი ჩიკაგო“ ნამდვილად ჯერი კრაუზემ დააკომპლექტა? (ჯერი კრაუზე მაშინაც და ახლაც კლუბის გენერალური მენეჯერი იყო)

ვანკუვერ გრიზლიზი: ისევე როგორც ჩემპიონატში, ახლაც არაფერს აკეთებს.

ატლანტა ჰოქსი: ჯერჯეროობით დიკემბე მუტომბოს გაცვლაზე ან გაყიდვაზე ფიქრობს.

ფილადელფია 76: ალენ აივერსონი კვლავ გუნდშია!

გოლდენ სტეიტ ვორიორზი: ბევრს ლაპარაკობს და ცოტას აკეთებს.

ვაშინგტონ ვიზარდსი: უნდა აღფრთოვანდეს ლარონ პროფიტის შენარჩუნებით? ალბათ არა.

ლოს ანჯელეს კლიპერსი: მთავარია, რომ ახალბედებს კონტრაქტები გაუფორმა და მწვრთნელის დანიშვნას საშველი დააყენა.

ლოს ანჯელეს ლეიკერსი: ვერავის შეასაღა გლენ რაისი, ხოლო ლამის შინ მოყვანილი კენდალ გილი „ნიუ ჯერსიმ“ წაართვა.

ჯალენ როუზი

შაკის ბეჭედი ჩემი რომ იყოს...

27 წლის ფორვარდმა ჯალენ როუზმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ინდიანა პეისერზის“ წლევანდელ ფინალისტობაში. იგი რეგულარულ ჩემპიონატში მატჩში საშუალოდ 18,2 ქულას აკეთებდა, ხოლო პლეიოფში — 20,8 ქულას. როუზი სეზონის ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშედ დასახელეს. რამდენიმე დღის წინ ჯალენმა, თავისუფალი აგენტის სტატუსით, ახალი კონტრაქტი გააფორმა „პეისერზთან“. შვიდი წლის განმავლობაში 93 მილიონ დოლარს მიიღებს. როუზმა ტელეკომპანია CNN-ს ინტერვიუ მისცა, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ.

— ჯალენ, „ინდიანაში“ 93 მილიონად დარჩით. მანამდე სხვაგან წასვლაზე არ გიფიქრიათ?

— სიმართლე გითხრათ, სხვაგან წასვლა აზრადაც არ მომსვლია. ფინალში „ლეიკერსთან“ დამარცხების შემდეგ ცუდ ხასიათზე დავდექი, კალათბურთის გაგონება საერთოდ აღარ მინდოდა, მაგრამ გუნდის გამოცვლაზე ერთი წამითაც არ მიფიქრია.

— „ჩიკაგო ბულზში“ რომ გადასულიყავით, იმდენივე ფულს მიიღებდით. თან, ჩიკაგო უფრო დიდი ქალაქია, ვიდრე ინდიანაპოლისი.

— ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს. ჩემი გული და გონება „ინდიანასთანაა“ — ეს ადრეც არაერთხელ მითქვამს. სხვა გუნდებს არასდროს დავლაპარაკებივარ. ჩემმა აგენტმა დევიდ ფოლკმა კარგად იმუშავა. მან მალე გამონახა საერთო ენა „პეისერზის“ პრეზიდენტ დონი უოლშთან და კლუბის მფლობელებთან და მეც გუნდში დავრჩი.

— მაშინ ასე გკითხავთ: რატომ არ გადადიხარ „ჩიკაგოში“ არავინ?

— ვერ გეტყვით. ჩიკაგო დიდი ქალაქია. მას უდიდესი საკალათბურთო ისტორია აქვს. „ბულზში“ დიად კალათბურთელებს უთამაშიათ. სეზონთაშორის პერიოდში „ჩიკაგომ“ სატრანსფერო ომი წააგო. ვფიქრობ, კლუბის ხელმძღვანელობამ რაღაც უნდა შეცვალოს.

— მარკ ჯეკსონის გარდა, წინა სეზონის შემადგენლობიდან თითქმის ყველა მოთამაშე შეინარჩუნეთ. კალათბურთიდან წასვლას აპირებს „ინდიანის“ ცენტრი რეჯ სმიტსი. არადა, იგი ერთადერთი იყო, რომელიც ფინალში ასე თუ ისე უმკლავდებოდა შაკილ ონილს. სმიტსის წასვლით პრობლემები ხომ არ შეგექმნებათ?

— თუ რიკი წავა, „ინდიანაში“ ამოუვსები ნაპრალი გაჩნდება. ამიტომ ყველა ვცდილობთ, რომ კალათბურთიდან წასვლა გადავაფიქრებინოთ. თუკი სმიტსს დავიყოლიებთ, ჩვენს შეტევებს სიმწვავე შეუნარჩუნდება. ამასთანავე, რიკს შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს შაკილს და მისი გაბარიტების სხვა ცენტრებს.

— თქვენი მოთამაშეები კი შეინარჩუნეთ, მაგრამ ახალი არავინ აგიყვანიათ. ნახეთ, რა ხდება სხვა გუნდებში: „ორლანდომ“ გრანტ ჰილი და ტრეისი მაკგრეიდი დაისაკუთრა, „მაიამმ“ — ედი ჯონსი... თქვენს რას უცდით?

— შეუძლებელია, ერთდროულად შეინარჩუნო, აიყვანო და შეიძინო კარგი მოთამაშეები. „ინდიანას“ უნდა ამოერჩია — ან ძველები გაეშვა და ახლები აეყვანა, ან ძველები შეინარჩუნებინა და ისევ მათ გამოცდილებას დაყრდნობოდა. ჩვენ მეორე გზა ავირჩიეთ. ვნახოთ, რა გამოვვივა.

— ლარი ბერდი ძალიან ბევრს ნიშნავს როგორც „ინდიანასთვის“, ისე თქვენთვის. ვარსკვლავად მის ხელში ჩამოყალიბდით...

— ლარის ხელმძღვანელობით თამაში ბედის წყალობა იყო როგორც ჩემთვის, ისევე ჩემი თანაგუნდელებისთვის. ახლა აღარავის ახსოვს, მაგრამ სანამ ბერდი მოვიდოდა, წინა სეზონში პლეიოფში ვერ მოვხვდით. ლარიმ გუნდი ძირფესვიანად გარდაქმნა და იმავე წელს მაიკლ ჯორდანს და „ჩიკაგო ბულზს“ მხოლოდ მეშვიდე მატჩში დავუთმეთ კონფერენციის ფინალი. ლარის ხელმძღვანელობით მეც და გუნდიც მუდმივად ვიზრდებოდით.

— ახალი მწვრთნელისგან, აიზია ტომასისგან რას ელით?

— ტომასი ახალბედა მწვრთნელია, მაგრამ ასეთივე იყო ბერდი. რეალურად, აიზია ლარიზე მძიმე მდგომარეობაშია — მან ფინალისტი გუნდი ჩაიბარა. ახალმა მწვრთნელმა ჩვენი შესაძლებლობები უნდა გამოიყენოს და კვლავ ფინალში გაგვიყვანოს. ვფიქრობ, იგი ამას მოახერხებს.

— წლეულს პირველად გახვედით ფინალში, პირველად გააფორმეთ მრავალმილიონიანი კონტრაქტი. ამასთანავე, პირველად გახდით მამა...

— მართლაც შესანიშნავი ზაფხული მქონდა. 14 ივლისს ქალიშვილი შემეძინა — მარია კრისტიან როუზი. მეც და ჩემი ოჯახიც ძალიან გახარებული ვართ. თუმცა, ეს ზაფხული უკეთესიც შეიძლება ყოფილიყო...

— რა შემთხვევაში?

— თუკი შაკილ ონილის ან კობი ბრაიანტის საჩემპიონო ბეჭედი ჩემს თითზე იქნებოდა წამოცმული.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

	შოტლანდია. მე-4 ტური 16 აგვისტო			
001	კილმარნოკი-ჰიბერნიანი	2,4	3,1	2,6
002	მოზერუელი-დანფერმლაინი	1,7	3,1	4,4
	იტალია. თასის მე-2 ტური 16 აგვისტო			
012	ატალანტა-რავენა	1,25	4,4	8,0
	17 აგვისტო			
008	კიევო-მონცა	1,8	2,7	5,0
009	პიაჩენცა-ვიტერბეზე	1,2	5,0	9,0
010	სამპდორია-კროტონე	1,2	5,0	9,0
011	ემპოლი-ფერმანა	1,25	4,4	8,0
013	პისტოიეზე-აველინო	1,35	3,5	7,5
014	ჩიტადელა-სალერნიტანა	3,1	2,6	2,3
015	კალიარი-ასკოლი	1,25	4,4	8,0
016	ტორინო-ჩეზენა	1,25	4,4	8,0
017	ტერნანა-ვარეზე	1,3	3,8	8,0
018	ვენეციი-სავოია	1,3	4,0	7,5
019	სიენა-პესკარა	2,8	2,7	2,4
020	ანკონა-პიზა	1,4	3,5	7,0
021	კოზენცა-ჯენოა	2,0	2,7	3,6
022	ბრეშელო-ბრეშა	5,3	2,9	1,7
023	ტრევიზო-ალძანო	1,5	3,0	7,0
	მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები 16 აგვისტო			
505	ესტონეთი-ანდორა	1,15	5,6	10,0
506	ეკვადორი-ბოლივია	1,6	3,0	5,6
507	არგენტინა-პარაგვაი	1,3	3,,8	8,0
508	პერუ-ვენესუელა	1,15	5,6	10,0
509	ტრინიდადი-პანამა	1,3	4,0	7,5
510	იამაიკა-სალვადორი	1,4	3,5	7,0
511	ჰონდურასი-სენტ ვინსენტი	1,15	5,6	10,0
512	აშშ-ბარბადოსი	1,2	5,0	9,0
	ამხანაგური მატჩები 16 აგვისტო			
513	ირანი-საქართველო	ანგარიში - 5,0		
514	ჩეხეთი-სლოვენია	1,45	3,5	6,0
515	რუსეთი-ისრაელი	1,4	3,5	7,0
516	უკრაინა-ჩინეთი	1,3	4,0	7,5
517	ფინეთი-ნორვეგია	3,4	2,9	2,0
518	რუმინეთი-პოლონეთი	1,7	2,9	5,0
519	ბულგარეთი-ბელგია	2,3	2,9	2,8
520	ფარერები-დანია	8,0	4,4	1,25
521	ბოსნია-თურქეთი	3,6	2,9	1,9
522	შვეიცარია-საბერძნეთი	2,2	2,9	3,0
523	გერმანია-ესპანეთი	1,9	2,9	3,6
524	უნგრეთი-ავსტრია	2,2	2,9	3,0
525	ისლანდია-შვედეთი	4,0	3,0	1,8
526	ჩრდ.ირლანდია-იუგოსლავია	4,0	3,0	1,8
527	პორტუგალია-ლიტვა	1,1	6,0	12,0
528	სლოვაკეთი-ხორვატია	2,5	2,9	2,5

კომპიუტერულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით „კროკო“ გთავაზობთ სიახლეს!

ცოცხალი თამაშის ნახვის მსურველებს (შაბათ-კვირას) დღეიდან საშუალება გექნებათ, ცოცხალ თამაშებზე ფსონები დადოთ „კროკოს“ ნებისმიერ ფილიალში, სადაც ფსონები მიიღება კომპიუტერით. თამაშების ჩვენება და მოგებების გაცემა იწარმოებს „კროკოს“ ცენტრალურ ოფისში რუსთაველზე თამაშის დამთავრებისთანავე. მოთამაშე, რომელიც ცოცხალ თამაშზე მოგებულ თანხას არ გაიტანს თამაშის დამთავრებისთანავე, მეორე დღეს მოგებას მიიღებს „კროკოს“ იმ ფილიალში, სადაც ფსონი დაიდო.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (ოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხკა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ი„რმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნ„ძუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

კაროლ, იყავ მონყალე!



კაროლ კუჩერა

ვაშინგტონი. „ლევჯ მეისონ ტენის კლასიკ“. საპრიზო 800 ათასი $

კაცთა ახალი ტურნირი ცინცინატის აღმოსავლეთით, შეერთებული შტატების დედაქალაქში დაიწყო, მეორე კი — ინდიანაპოლისში (იმაზე ქვემოთ). ორივე რიგითი ტურნირია და საპრიზო ფონდებიც თანაბარი აქვთ. ვაშინგტონში ანდრე აგასი ითამაშებს, თუმცა პირველ წრეში მას შვიდ განთესილთან ერთად დასვენების უფლება მისცეს. აი, ისინიც: ალექს კორეჩა (ესპანეთი), ნიკოლას კიფერი (გერმანია), მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია), ჯანმაიკლ გემბილი (აშშ), ბაირონ ბლეკი (ზიმბაბვე), დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) და ფაბრის სანტორო (საფრანგეთი). ვინღა დარჩა და ამიტომ პირველი წრის თამაშებზე რაიმე საყურადღებო არ მომხდარა, სხვა სამი განთესილის გავარდნას თუ არ ჩავთვლით.

ჩილელმა ფერნანდო გონსალესმა მე-13 ნომერი, ამერიკელი კრის ვუდრფი გააგდო, იტალიელმა ანდრეა გაუდენციმ მისი მომდევნო გერმანელი რაინერ შუტლერი და შორეული ტაილანდიდან ჩასულმა პარადორნ შრიჩაპანმა — მე-15, ავსტრალიელი ჯეისონ სტოლტენბერგი. სამივე ეს მატჩი განუთესავებმა ყოველგვარი დრამატიზმის გარეშე მოიგეს. წარმატებულ განთესილთაგან გამოვარჩევთ სლოვაკ კაროლ კუჩერას. მან ამერიკელი პოლ ჰერსენი კორტზე მასხრად აიგდო — 6:1, 6:0, ხოლო ფრანგ ჟერომ გოლმარს (10) ჩეხი იან კროსლაკის დასამარცხებლად მეტი ჯაფა დაადგა — 6:4, 6:2.

პირველი წრე. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი, 9) — პოლ ჰერსენი (აშშ) — 6:1, 6:0; ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი, 10) — იან კროსლაკი (ჩეხეთი) 6:4, 6:2; ფერნანდო გონსალესი (ჩილე) — კრის ვუდრაფი (აშშ, 13) 6:4, 1:6, 6:3; ანდრეა გაუდენციი (იტალია) — რაინერ შუტლერი (გერმანია, 14) 6:4, 6:4; პარადორნ შრიჩაპანი (ტაილანდი) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია, 15) 6:4, 6:4; კრისტოფ როჯესი (ბელგია) — ბობ ბრაიანი (აშშ) 3:6, 6:3, 6:4; გალო ბლანკო (ესპანეთი) — ბაიკ ბრაიანი (აშშ) 7:5, 6:7 (4:7), 6:4; კევინ კინი (აშშ) — დევიდ ჯოუელი (აშშ) 6:3, 4:6, 6:3; ენდი როდიკი (აშშ) — ადრიანა ვოინეა (რუმინეთი) 6:3, 6:4; უეინ არტურსი (ავსტრალია) — მაშისკე ვაშინგტონი (აშშ) 6:0, 6:4; ფერნანდო მელინგერი (ბრაზილია) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:7 (4:7), 6:0, 6:4; ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:4, 6:4; ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) — სტეფან ჰუე (საფრანგეთი) 6:2, 6:3; გილერმო ჰორია (არგენტინა) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:3, 7:6 (7:5); დავიდ სანგვინეტი (იტალია) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:3, 6:2.

ინდიანაპოლისი. ინდიანა. RCA-ს პირველობა. საპრიზო 800 ათასი $

„მასტერსის“ ორ გადაბმულ ტურნირზე მოთამაშეთა ნაწილმა ცინცინატიდან ჩრდილოეთით აინაცვლა და ინდიანაპოლისში შეუდგა ჩოგნის ქნევას. აქაც პირველ წრეში ძირითადად წვრილფეხობა ცდიდა ძალებს. აღსანიშნავია მაროკოელი იუნეს ელ აინაუისგან შვედი ტომას იოჰანსონის დამარხება, არა იმიტომ, რომ შვედის გამარჯვებას ელოდნენ: არაბი ტურნირზე მეცხრედ განთესილია და მეტოქეზეც მოღლა დგას. უბრალოდ, აინაუიმ ქუსლის მძიმე ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა და წარმატებით. ერთადერთი განთესილი, ვისაც თავიდანვე გუდა-ნაბადის აკვრა მოუხდა, რუმინელი ანდრეი პაველი გამოდგა, მას იტალიელმა ჯან ლუკა პოციმ სამ სეტში 7:6 (7:0), 2:6, 6:2 მოუგო.

პირველი წრე. იანუს ელ აინაუი (მაროკო, 9) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (7:4), 6:4; ალბერტ ჰუსტა (ესპანეთი, 11) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 7:5, 6:2; სებასტიენ ბროსარი (საფრანგეთი, 12) — მაქს მირნი (ბელარუსი) 3:6, 7:6 (7:5), 6:4; ტოდ მარტინი (აშშ, 14) — სესილ პაველი (რუმინეთი, 15) 7:6 (7:0), 2:6, 6:2; პარელ ლევი (ისრაელი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:3, 6:4; ჰარლეს მოია (ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:4, 6:4; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:3, 6:2; მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 7:5, 5:7, 6:4; უეინ გლეჰი (ზიმბაბვე) — კევინ ულიეტი (ზიმბაბვე) 6:3, 6:0; სტეფან კუბიკი (ავსტრია) — დევიდ უიტონი (აშშ) 6:4, 3:6, 7:6 (7:5); ძსავიერ მალისე (ბელგია) — ლიორ მორი (ისრაელი) 6:3, 6:2; პოლ ანრი (საფრანგეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:4

მონრეალი. „დიუმურიე ოუფენ“. საპრიზო 1 080 ათასი $

წინა კვირებში მშვენიერთა სქესი დაიჩაგრა: კაცებმა ორი „მასტერი“ ითამაშეს და მილიონები გაიყვეს, ქალებს ნახევარ მილიონ დოლარზე ოდნავ მეტისთვისღა ჰქონდათ ცილობა. ახლა ვითარება გვარიანად შეიცვალა. მონრეალის ტურნირის საპრიზო ფონდი ორივე კაცთა ტურნირისას სჯობია, ამიტომ მთელი ელიტა, რომელიც კალიფორნიაში თამაშობდა, მონრეალს გადაბარგდა, ოღონდ პირველ წრეში მათთვის დასვენების დღე გამოცხადდა. ფავორტთა ქვემორე სია ტურნირის განთესვის ცხრილთანაა შეთანხმებული: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია), ლინდსი დევენპორტი (აშშ), კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი), სერენა უილიამსი (აშშ), ნატალი ტოზია (საფრანგეთი), ანკე ჰუბერი (გერმანია), არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი), სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი).

პირველმა წრემ მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა.

პირველი წრე. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა, 9) — ტამარინ ტარნასუგარნი (ტაილანდი) 6:2, 6:2; ანა კურნიკოვა (რუსეთი, 11) — სარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:3, 7:6 (7:4); ჩანდა რუბინი (აშშ, 15) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:7 (5:7), 6:2, 6:2; ვერონიკა რუანოვსკაია (ესპანეთი) — ვანესა უეები (კანადა) 6:4, 6:4; ნატალი დეში (საფრანგეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 6:4; საბინე აპელანსი (ბელგია) — ელენა დოკიჩი (ავსტრალია) 6:7 (6:8), 6:4, 7:6 (7:5); ჟანა ნიეჯედლი (კანადა) — სამანტა რივზი (აშშ) 6:3, 6:3; პატი შნიდერი (შვეიცარია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:5, 6:3; რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) — ანგელეს მონტოლიო (ესპანეთი) 6:1, 7:5; გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 4:6, 6:0, 6:1; ანე კრეგერი (ლუქსემბურგი) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:4, 6:1; სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) — მაგუი სერნა (ესპანეთი) 6:2, 6:2; ჟასტინ ჰენინი (ბელგია) — აზა კარლსონი (შვედეთი) 6:2, 4:6, 6:3; ტატიანა პანოვა (რუსეთი) — ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია) 6:4, 6:1; პენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) — დენისა ხლადკოვა (ჩეხეთი) 2:6, 7:5, 6:3; ენი მილერი (აშშ) — ერიკ დელოუნი (აშშ) 6:4, 3:6, 6:1

ტომას იოჰანსონი

გაესპანელებულ ნიურკა მონტალვოს თავის ახალ სამშობლოში თაყვანისმცემლები არ აკლია

აბა, აიბარგეთ აქედან!

ესპანეთიდან გაქცეულმა კუბელებმა ღამე ქუჩაში გაათენეს

გუშინწინ კუბის მძლეოსანთა 30-კაციანი ნაკრები ესპანეთიდან იტალიას გადაბარგდა, რამაც ნიურკა მონტალვოს საქმეს სიმძაფრე და ხმაური შეჰმატა. კუბელთა მიგრაციამდე არსებულ ვითარებას „სარბიელის“ მკითხველი იცნობს: ორი წლის წინათ ესპანელზე გათხოვილი კუბელი მძლეოსანი ნიურკა მონტალვო ესპანეთის სახელით ოლიმპიადაზე მოხვედრას ვერ ახერხებს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებით ხომ საამისოდ მონტალვოს ესპანეთში სამი წელი მაინც უნდა ეცხოვრა. კუბის მძლეოსნობის ფედერაციაში ზოგს არ მოეწონა თავიანთი გაზრდილი სპორტსმენის ახალ საშობლოსთან ასე უცებ შეგუება და ძველის დავიწყება, ამიტომაც ამოქექეს კანონი, თორემ ესპანელებთან ფიდელ კასტროს ქვეშევრდომებს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ: აგერ უკვე 17 წელია, კუნძულელი ათლეტები პირენეიზე მუდმივად დადიან სავარჯიშოდ და იქაურ ბაზებს ნაყოფიერად იყენებენ. სიტუაცია ამჯერად ესპანელ მძლეოსანთა მამამ, ხოსე მარია ოდრიოლამ გამოკვეთა — კუბელები დღეიდან ჩვენგან ვერავითარ მხარდაჭერას ვერ მიიღებენო. ესენიც ადგნენ და წავიდნენ, მონტალვოს კი იმედი არ დაუკარგავს, იგი ფიქრობს, რომ პრობლემას სამთავრობო დონეზე დაყენებით გადაწყვეტს. ორივე ქვეყნის მთავრობის კაცები დღეს უნდა შეიკრიბონ და დაძაბულობა გაანელონ, მანამდე კი 30 კუბელი ათლეტი, მათ შორის ხავიერ სოტომაიორი და ივან პედროსოც იტალიურ ფორლიში დაბანაკდნენ, საიდანაც სოტომაიორი საფრანგეთის მიდის, მონტობანის ტურნირზე ფორლის სასტუმროში ლოგინი ვერ გამოუძებნიათ და მასაც ღამე იატაკზე გაუთევია, მაგრამ ეს წვრილმანია...

უფერული ბრიტანული უქმეები

დუეინ ჩემბერსი

ბრიტანეთის სამძლეოსნო პირველობა წლეულს ოლიმპიური შესარჩევი ტურნირიც იყო და იგი გასულ უქმეებზე ბირმინგემის „ალექსანდერ სტედიუმზე“ გაიმართა. წინასწარ ვიტყვით: შედეგები თვალისმომჭრელი არ ყოფილა, რეკორდებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამის მიზეზი ნაწილობრივ პირქარი გახდა, რომელიც ზოგჯერ 2,5 მ/წმ სიჩქარითაც ეხლებოდა მძლეოსანთა მკერდს. 100 მეტრზე გარბენმა 0,8 მ/წმ პირქარისას ჩაიარა, იგი დუაინ ჩემბერსმა მოიგო, რომელიც მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოსმედალოსანია. იქვე იყვნენ ევროპის ჩემპიონი დარენ კემპბელი, ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი ჯეისონ გარდნერი და მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონი, მარკ ლუის-ფრენსისი. ყველაფერი სტარტზე გადაწყდა, რომელიც ჩემბერსმა არაჩვეულებრივად აიღო და მერე კემპბელმა ფეხებს დიდი ძალა კი შთაბერა, მაგრამ ჩემბერსმა ფინიშთან წამის მეასედით მიასწრო. მხოლოდ მეოთხე იყო გარდნერი, რომელიც ერთი ხანია, ტრავმას ებრძვის. სიდნეის ოლიმპიადა ამ ჩინებული მორბენლის გარეშე ჩაივლის.

კაცებამდე ათი წუთით ადრე ასი მეტრი ქალებმა ირბინეს და პირქარმა სწორედ მაშინ იმძლავრა. ამიტომ ნაჩვენები შედეგები საშინელი იყო: მარშა რიჩარდსონმა მხოლოდ 11,41 წამით გაიმარჯვა, მისმა მოგვარე და დოპინგისთვის დისკვალიფიკაციასთან მებრძოლმა მარკმა კი 400 მეტრი 45,55 წამით მოიგო.

კემპბელი 100 მეტრის ბეწვზე წაგებამ გაამძვინვარა და 200 მეტრი გვარიანი უპირატესობით გაირბინა. მოსახვევს გაცდენილი, იგი უახლოეს მდევარს 2 მეტრით მოშორებოდა და ფინიშსაც პირველმა უწია.

დავით გულუა

ასანიძეს დროშას უბოძებენ, ოქრო კი თავად მოიპოვოს

ვემზადოთ ოლიმპიადისთვის და ბანკეტისთვისაც?

ჩვენი ოლიმპიელების სასიდნეო სამზადისის თაობაზე დიდ თუ პატარა ბჭობას, გუშინდლამდე ვიშ-ვიშის გარეშე არ ჩაუვლია. უსახსრობის გამო ერთნი ჩაშლილ საწვრთნელ შეკრებებს მისტირიდნენ, მეორენი მათ გარეშე ჩატარებულ ტურნირებს, მესამენი დაგვიანებულ და სულაც მიუღებელ სტიპენდიებს, მეოთხენი ყველაფერ ამას და ბევრ სხვასაც...

ამდენი ვაიუშველებელი ჩვენც მოგვბეზრდა და ჩვენს მკითხველსაც. აი, საქართველოს სპორტის დეპარტამენტში გუშინდელი თავყრილობა კი წუწუნის გარეშე ჩატარდა.

საქმე ისაა, რომ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საბჭოსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ერთობლივი სხდომის მონაწილეებს, მის დამსწრე საზოგადოებას, დღეისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები აღარ ჰქონიათ. როგორც სხვადასხვა სახეობათა ნაკრები გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა, სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებმა თქვეს, გუნდები ბოლო დროს ნაყოფიერად ემზადებიან და სავარჯიშო, საცხოვრებელი და კვების პირობებითაც კმაყოფილნი არიან, თავად სპორტსმენთა გუნება-განწყობილებაც საბრძოლო ყოფილა. ეს ყოველივე კი განაპირობა სახელმწიფოს მიერ, ბოლოსდაბოლოს, გამოყოფილმა თანხამ, რამაც ხსენებული პირობები შექმნა. ამასთან, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა საზოგადოებას ისიც ამცნო, რომ სპორტსმენთა დავალიანებები უკანასკნელ თეთრამდე გავისტუმრეთო.

ეს ყოველივე დაგვიანებულია თუ არა, მართლაც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გამოჩნდება, მანამდე კი მთავარი მწვრთნელები იმედიანად არიან, იმდენად იმედიანად, რომ მათმა ოპტიმიზმმა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ დავით გობეჯიშვილს ათქმევინა, იმის მიხედვით, რაც აქ მოვისმინეთ, დღესვე საბანკეტოდ გვქონია საქმეო. მთავარ მწვრთნელთა გამოსვლების საფუძველზე საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ გოიაშვილმა სახელდახელოდ დაითვალა და შეკრებილთ გვამცნო, ყოველივე ამის მერე სიდნეიში... 16 მედალს უნდა ველოდოთო.

მანამ საქართველოს სპორტსმენები 16 ოლიმპიურ მედალს მოიპოვებენ, ბევრი წყალი ჩაივლის. რეალურად კი, თუ ატლანტაში მოპოვებული ორი ბრინჯაოდან სიდნეიში ერთს მაინც ვერცხლად გადავადნობთ, ეს უკვე წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება, პროგრამა მაქსიმუმი კი სამივე ხარისხის თითო მედალია. როგორც კახი ასათიანმა თქვა, ეს მეტისმეტად ძნელია, მაგრამ სწორედ ამას უგეგმავენ ჩვენს სპორტსმენებს.

— ვუგეგმავთ, რადგან სიდნეიში უნდა გვქონდეს რაღაც მიზანი, რისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ — თქვა ასათიანმა.

გუშინდელ თავყრილობაზე ისიც შეიტყვეთ, რომ სიდნეიში საქართველოს ოლიმპიური გუნდის მედროშე მსოფლიოს რეკორდსმენი, ძალოსანი გიორგი ასანიძე იქნება. მას იქ დროშას უბოძებენ, მაგრამ ოლიმპიური ოქრო თავად უნდა იბოძოს.

ავთანდილ ბყვიშელი

ქალღმერთი გულუხვი სოფლის ოქროზე

ავსტრალიაში მართლაც ნემსის ყუნწში ძვრებიან, რათა სიდნეის ოლიმპიური თამაშები სამუდამოდ დარჩეს მსოფლიოს საზოგადოებრიობის მეხსიერებაში. ჯერ იყო და ოლიმპიური ჩირაღდანი ყველაზე ხანგრძლივ და გრძელ მანძილზე სამოგზაუროდ გაუყენეს, მერე ოლიმპიური ცეცხლი პოსეიდონის სამფლობელოში პირველებმა ჩააყურყუმელავეს. ახლა ამას კიდევ ერთი ახალი მიგნება დაუმატეს— ამჯერად მათმა ნოვატორულმა იდეამ ოლიმპიურ მედლებთან მიგვიყვანა.

მოგეხსენებათ, თუ რაოდენ დიდი სიხარული მოაქვს ჩემპიონობის მოპოვებას არამარტო სპორტსმენისთვის, არამედ მისი გულშემატკივრებისა და მთელი ქვეყნისთვის, მაგრამ გავა დრო და იმ ბედნიერი წუთების მოსაგონებლად ოლიმპიური ჩემპიონი თუ პრიზიორი თავისი მედლისა თან მედლების თვალისა და ხელის შევლებით დატკბება.

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ახლახან სიდნეის ოპერასთან მასმედიის წარმომადგენლები, და არა მარტო ისინი, ოლიმპიური მედლების პრეზენტაციაზე მიიწვიეს, იქ კი საზოგადოებას პოლონელი ემიგრანტის ვოიჩეკ პეტრანიკის დიზაინით შესრულებული ჯილდოები წარუდგინეს.

პეტრანიკის მიერ შესრულებული მედლების დიზაინმა ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა იმ კონკურსში, რომელიც საუკეთესო ნამუშევრის გამოსავლენად იყო ორგანიზებული. მან მედლის წინა მხარეს გამოსახა გამარჯვების ქალღმერთი ნიკ„ რომელიც ბერძნული ამფორის გვერდით ჩამომჯდარა. მას მარჯვენა ხელში დაფნის გვირგვინი, ხოლო მარცხენაში პალმის რტო უჭირავს. ფონზე გამოსახულია ათენის ანტიკური კოლიზეუმი და გამარჯვებულ ცხენოსანთა ეტლი.

მედლის მეორე მხარეს გამოსახულია მწვანე კონტინენტზე საკვიზიტო ბარათი, ყველაზე ცნობილი ნაგებობა — სიდნეის ოპერის სახლი. იქვე, მედლის შუაში, ამოტვიფრულია ოლიმპიური რგოლები.

— ვფიქრობ, ათლეტები აღფრთოვანებულები დარჩებიან, როდესაც მედლებს ნახავენ — ივარაუდა ავსტრალიელმა ოქროსმედალოსანმა სანდრა ნორმანმა.

გულაჩუყებული ჩანდა მედლების ავტორი პეტრანიკი, რომელიც 15 წლის წინათ პოლონეთიდან მწვანე კუნძულზე გადასახლებულა.

— მგონი ავტირდები, როდესაც დაჯილდოების პირველი ცერემონიალი გაიმართება. ათლეტებს დაამახსოვრდებათ, თუ როდის მოიგეს მედალი, ემახსოვრებათ და ეყვარებათ ჩვენი ქვეყანა — თქვა პეტრანიკმა, რომელიც ავსტრალიის სამეფო კარის ზარაფხანის თანამშრომელია და მედლების დიზაინზე მუშაობა ჯერ კიდევ მაშინ დაუწყია, როდესაც 1993 წლის სექტემბერში სიდნეიმ ამ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვა.

სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, გამარჯვებული სპორტსმენებისთვის დასამზადებელია 1000-1000 ოქროს, ვერცხლისა და 1100 ბრინჯაოს მედალი. აქედან მხოლოდ ორი-მესამედი იქნება პრიზორებისთვის განკუთვნილი. ვარაუდობენ, რომ სამას პაექრობაში პრიზიორთათვის 2050 მედალი იქნება საჭირო, დანარჩენი კი ყოველი შემთხვევისთვის დაუმზადებიათ. მაგალითად, იმ შემთხვევისთვის, თუ საჭირო გახდება საპრიზო ადგილების გაყოფა, რომელიმე ჯილდო დაზიანდება ან დაიკარგება ხოლო დანარჩენი განადგურდება.

მედლები უნიკალურია იმით, რომ ყოველ მათგანზე რელიეფურად ამოტვიფრულია და წარწერითაც აღნიშნულია სპორტის ის სახეობა, რომელშიც იგი გათამაშდება. რაც მთავარია, პირველად მედლების ისტორიაში სპორტსმენს შესაძლებლობა ექნება ოლიმპიურ ჯილდოზე საკუთარი გვარ-სახელი ამოტვიფროს. ასეთი მომსახურებისთვის მათ ოლიმპიურ სოფელში შესაბამის ხელოსანთან მიმართვა დასჭირდებათ.

აღსანიშნავია, რომ ოქროს მედალი მინიმუმ 6 გრამ წმინდა ოქროს შეიცავს, ვერცხლის მედალი სუფთა ვერცხლისგან დამზადდება, ბრინჯაოსი კი ბრუნვიდან ამოღებული ერთი და ორცენტიანი ავსტრალიური მონეტებისგან. ამასთან, ბრინჯაოში ცოტაოდენ ვერცხლს გაურევენ.

რაც შეეხება მედლების ზომას, მათი დიამეტრი 68 მილიმეტრია, სისქე, რელიეფური გამოსახულების გათვალისწინებით, 3-დან 5 მილიმეტრამდე მერყეობს. ოქრო-ვერცხლის მედლები 210, ხოლო ბრინჯაოსი 170 გრამია.

საინტერესოა, რომ ოქროს მედლების დასამზადებლად ამ ძვირფასი ლითონის საჭირო რაოდენობა ახალი სამხრეთ უელსის შტატის, ორინჯ ცენტრის რაიონის, სამი თემის საჩუქარი ყოფილა. ეს ადგილი იმით ყოფილა ცნობილი, რომ 1851 წელს პირველად სწორედ იქ აღმოუჩენიათ ოქროს საბადო.

გიგა გურასაშვილი

XX საუკუნის ფოტომატიანი

ფანი ბლანკერს-კუნი და კარლ ლუისი
IAAF-ის ვერსიით XX საუკუნის მძლეოსნები არიან

ფანი ბლანკერს-კუნი

„მფრინავ ჰოლანდიელად“ წოდებული ფანი ბლანკერს-კუნი მძლეოსნობის ერთ-ერთი ყოფილი უკაშკაშესი ვარსკვლავია. მისი ვარსკვალავი ყველაზე თვალისმომჭრელად აციმციმდა 1948 წელს, ლონდონის XIV ოლიმპიურ თამაშებზე. მაშინ ამ 36 წლის ჰოლანდიელმა ქალმა, ორი შვილის დედამ, შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებული ოთხივე გარბენი მოიგო. იგი ჩემპიონი გახდა 100 მეტრაზე რბენაში, 80 მეტრაზე თარჯრბენში, 200 და 4X100 მეტრზე ესტაფეტაში. ამასთან, ფანიმ დიდი უპრატესობით გაიმარჯვა 100-მეტრინ დისტანციაზე, 200 მეტრზე ნახევარფინალურ ასპარეზობაში კი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. მან ოლიმპიური და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა თარჯრბენშიც, თუმცა საზიაროდ აქ მან და ინგლისელმა მორინ გარდნერმა ერთნაირი შედეგი აჩვენა, მათ შორის ოქროს მედლის მფლობელის ბედი კი ფოტოფინიშმა გამოავლინა. გამარჯვებული ჰოლანდიელი თვით ინგლისის დედოფალმა ელიზაბეტმა დააჯილდოვა.

სხვათა შორის, ფანის მთავარი მეტოქე მორინ გარდნერი ოლიმპიურ სარბიელზე საკუთარი თარჯებით გამოცხადდა, მაგრამ მას ვერც ამან უშველა და ვერც შინაურმა კედლებმა. ფანი ბლანკერს-კუნი კი პირველი ქალი იყო, ვინც ერთბაშად ოთხი ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. ამიტომაც იგი ლონდონის ოლიმპიური თამაშების გმირად შერაცხეს და იმავე წლეს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენადაც აღიარეს.

მას მეტი ოქროს მოპოვებაც შეეძლო, მაგრამ მაშინ სპორტსმენებს მხოლოდ ოთხ დისციპლინაში შეეძლოთ გამოსვლა. არადა, იგი ლონდონში ჩავიდა როგორც ევროპის ორგზის ჩემპიონი, ერთგზის ბრინჯაოს მფლობელი და მსოფლიოს შვიდგზის რეკორდსმენი. მას ასეთი წარმატებებისთვის მიუღწევია არა მხოლოდ რბენებში, არამედ სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაშიც, ორი წლის მერე კი მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდი მძლეოსნურ ხუთჭიდშიც დაამყარა და იმავე წელს ევროპის ჩემპიონატის კიდევ სამი ოქროსა და ერთიც ვერცხლის მედალი მოიპოვა.

შარშან ფანი ბლანკერს-კუნი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ XX საუკუნის მძლეოსან ქალად დაასახელა.

ფანი ბლანკერს-კუნი
ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე

ფილატელია ჩემპიონებსაც უკვდავყოფს

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მასპინძლებს გამარჯვებულ თანამემამულეთა საფოსტო მარკებზე აღბეჭდვა განუზრახავთ, რაც ოლიმპიადების ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა. ოზებს ამით სურთ მთელ მსოფლიოს დაანახონ, თუ როგორ პატივს იმსახურებენ ოლიმპიური ჩემპიონები. მათი თქმით, ჩემპიონი სპორტსმენის გამოსახულებიანი მარკა გამარჯვებიდან 24 საათში დამზადდება.

— მას შემდეგ, რაც ავსტრალიელი ოქროს მედალს მოიპოვებს, ორ დღეში საპატივცემულოდ დამზადებულ მარკებთან ერთად იგი მისალოც წერილებსაც მიიღებს — განაცხადა ავსტრალიის ფილატელისტთა ჯგუფის მენეჯერმა დევიდ მაიდენმა.

ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯონ კოუტსი იმედოვნებს, რომ მის ქვეყანას 20 ჩემპიონი ეყოლება, ამ შემთხვევაში მათ ამდენივე საფოსტო მარკის დაბეჭდვა მოუწევთ.

ᲒᲐᲚᲘᲡᲘᲐᲨᲘ ᲕᲣᲔᲚᲢᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ

ᲝᲠᲨᲑᲐᲑᲐᲗᲘᲡ ესპანეთში დაიწყო „გალისიის ტური“, რომელიც ხუთი ეტაპისგან შედგება (735კმ) და „ვუელტის“ შინ მრავალი მრბოლისთვის გენერალური რეპეტიციაა. გალისიაში გამარჯვების პრეტენდენტებად ესპანელები ხოს�ს ბელოკი (ფესტინა), რობერტო ერასი, ფერნანდო ესკარტინი (ორივე „კელმე“) და შვეიცარიელი ალექს ცულე (ანესტო) ითვლებიან, თუმცა არაა გამორიცხული, მათ ძალების დაზოგვა გადაწყვიტონ და შეჯიბრი ვინმე სხვამ მოიგოს. მით უმეტეს, ძლიერი მრბოლების ნაკლებობას ეს ტურნირი ნამდვილად არ განიცდის. „გალისიის ტურის“ მთავარი სიძნელე პელოტონს ბოლო ეტაპზე, პარასკევს შეხვდება. ზღვის დონიდან 970 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სეიჩოს მთის მწვერვალზე, შეჯიბრის ფინიშია დანიშნული.



მარტინ გარიდო

პირველი ეტაპი კი არგენტინელმა მრბოლმა მარტინ გარიდომ (ფუენლაბრადა) მოიგო. ფეროლის გარშემო 97,8 კილომეტრის გავლის შემდეგ ჯგუფურ სპრინტში სამხრეთამერიკელმა იმარჯვა და ლიდერის მაისურაც მოიპოვა.

პელოტონმა დაახლოებით 33-კილომეტრიანი წრე სამჯერ გაიარა და მესამე კატეგორიის სიძნელის აღმართიც სამჯერ დაძლია. რბოლა საკმაოდ სწრაფი და დაძაბული იყო. ბევრმა სცადა გაქცევა, მათ შორის დავიდ ეჩებერიამ, მაგრამ... 60-კაციანმა ჯგუფმა ფინიშს ერთად უწია და ამ ჯგუფში იყო ტურნირის ყველა ფავორიტი.

დღის ერთადერთმა სიძნელემ წმინდა წყლის სპრინტერები ბრძოლიდან გამოთიშა, დანარჩენებში კი ყველაზე სწრაფი გარიდო აღმოჩნდა და პრემიალური 6 წამიც მოიპოვა. თავიანთ დროს შესაბამისად 4 და 2 წამი დევიდ კლინგერმა და მატეო ფრუტიმაც ჩამოაკლეს. ეტაპისა და საერთო ჩათვლის მოწინავე ხუთეულები კი იმიტომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ეჩებერიამ და მერკადომ საშუალედო ფინიშებზე მოიხვეჭეს პრემიალური წამები.

ᲑᲐᲑᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

ᲒᲐᲚᲘᲡᲘᲘᲡ ᲢᲣᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

ფეროლის ირგვლივ, 97,8კმ

1. მარტინ გარიდო (არგენტინა, ფუენლაბრადა) — 2სთ 13წთ 29წმ
2. დევიდ კლინგერი (აშშ, ფესტინა)
3. მატეო ფრუტი (იტალია, ლამპრე)
4. პაოლო ბოსონი (იტალია, კანტინა ტოლო)
5. მასიმილიანო მორი (იტალია, საეკო) — ყველას იგივე დრო

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. მარტინ გარიდო — 2სთ 13წთ 23წმ
2. დევიდ კლინგერი — +2წმ
3. დავიდ ეჩებერია (ესპანეთი, ონსე) — +3
4. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, ესკალტელი) — +3
5. მატეო ფრუტი — +4



იოჰან მუსეუვის ნაავარიეკი „ჰარლი დევიდსონი“

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ, ᲤᲔᲮᲘ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაუწყეთ, რომ ბელგიელი მრბოლი იოჰან მუსეუვი ავტოკატასტროფაში მოყვა და საკმაოდაც დაზიანდა. იგი თავისი „ჰარლი დევიდსონის“ მარკის მოტოციკლით მგზავრობდა, როცა უკნიდან გასწრების მსურველი მანქანა დაეჯახა. მის მეუღლე ვერონიკი და მცირეწლოვანი შვილი არ დაშავებულან, სპორტსმენი კი ქალაქ განდის საავადმყოფოში მარცხენა ფეხისა და საფეთქლის ძვლის მოტეხილობით მიიყვანეს. 1988 წელს გაპროფესიონალებული მუსეუვი, რომელსაც კარიერის მანძილზე 92 გამარჯვება დაუგროვებია, სიდნეის ოლიმპიადაზე ბელგიის ნაკრების ლიდერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისთვის სეზონი უკვე დამთავრდა. შეძლებს თუ არა იგი საერთოდ კარიერის გაგრძელებას, ჯერ ექიმები გადაჭრით ვერაფერს ამბობენ.

„მისი მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება“ — განუცხადა საავადმყოფოს პრესატაშე მარი-ლორ სოლიმ ერთ-ერთ ბელგიურ ტელეარხს. ქალბატონმა სოლიმ იქვე დაამატა, რომ მრბოლი სანახევროდ მოსულა გრძნობაზე. მუსეუვს კვირასვე გაუკეთეს ფეხის ოპერაცია, ხოლო თავზე არანაირი ქირურგიული ჩარევა არ იგეგმება. ექიმების თქმით, იგი კიდევ რამდენიმე დღეს დარჩება საავადმყოფოში და მკურნალობის ინტენსიურ კურსსაც გაივლის, რადგან თავის ქალაში მცირე რაოდენობით სითხე ჩასდგომია და ამის ასე დატოვება არ შეიძლება.

საავადმყოფოდან მუსეუვს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა თუ არ გაუარესდა, ალბათ, კვირის ბოლოს გაწერენ და მკურნალობას შინ გააგრძელებს. იმედია, ეს ინციდენტი მის სპორტულ კარიერას არ დაასამარებს.

ᲑᲐᲑᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

ᲘᲪᲘᲗ ᲙᲘ, ᲔᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲔᲚᲘ, ᲠᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ...

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ინდიანაპოლისში საზღვაგარეთო ტურნირის პარალელურად მოცურავეები შრომობენ. მათ „ტრაიელსი“, ანუ ამერიკის პირველობა აქვთ, რომელიც ოლიმპიურ წელიწადს ნაკრებში მისაღები გამოცდების სახეს იღებს. „ტრაიელსის“ უყურადღებოდ დატოვება არ ეგების, იგი ამერიკულია და ანკები, მოგეხსენებათ, საცურაო ღონისძიებებზე ერთი ხანია ჯილდოების ყველაზე მეტ წილს იჩემებენ, სიდნეის ოლიმპიადაზე კი მათი ბატონობის დამბობას ყველაზე უფრო ავსტრალიელები ეშურებიან. ვნახოთ... არა, განა სხვები არ არიან? გვსმენია დე ბრუინის, ვან ჰუგბანდის, ალსამარის, პოპოვისა და სხვათა გარებიც, მაგრამ ყველაზე „ფართო ფრონტით“ მეჯლებს ამერიკა უტევს და მათ „ტრაიელსზე“ გამარჯვებულთა ვინაობის ცოდნა, ვფიქრობთ საჭირო საქმეა.

ქალთა შეჯიბრში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: ოთხი წლის წინათ დაწყებული დრამა „ჰეპი ენდით“ დასრულდა, კრისტი კოუელმა ნაკრებში ადგილი დაიბრუნა. მაშინ, 1996 წელს, ატლანტის ოლიმპიადის ამერიკელ მონაწილეთა შერჩევისას, კოუელს სამი მეასედი წამი დააკლდა ცხოვრების პირველ მთავარ მიზნამდე, მაგრამ არ გატყდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ბეჯითი აბიტურიენტივით თავაუღებლად იმეცადინა და მშვენიერი შედეგიც მიიღო — 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მან ამერიკის რეკორდი დაამყარა — 2:24,75, რაც სეზონის მეორე შედეგიცაა და, ცხადია, პირველ ადგილზეც კოუელი გავიდა. ამერიკის დამხობილი რეკორდი 8 წლისა იყო და ანიტა ნოლის კუთვნილება გახლდათ (2:25,35).

ცურვის შემდეგ კოუელი აცრემლდა და გულისამაჩუყებელი გამომეტყველებით ესაუბრა ჟურნალისტებს. „ვერანაირად ვერ აღვწერ ჩემს მდგომარეობას — თქვა მან — სიტყვებით მისი გადმოცემა შეუძლებელია“. მეორე ადგილზე ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი, ამანდა ბიერდი გავიდა (2:26,79), მესამეზე მეგან ჭუენი, ხოლო 100-მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჯენი ტომპსონი ზეიბდა. მან კოუელივით ამერიკის რეკორდი დაამხო (54,27), როდესაც დისტანცია 54,07 წამში გაცურა. ადრინდელი რეკორდიც ტომპსონისა იყო. ამჯერად აუზის ნახევარი ყველაზე ჩქარა მისმა ამხანაგმა დარა ტორესმა გაცურა, ტომპსონმა მერეღა მოუჩქარა და... ტომპსონის შედეგი კოუელისას იმითაც ჰგავს, რომ სეზონის მეორე მაჩვენებელია. პირველი ვისი იქნება, იოლი გამოსაცნობია — ცხადია, ინგე დე ბრუინისა და არამარტო სეზონის პირველი, არამედ ყველა დროისაც: 53 წამი და 8 მეათედი.

მსოფლიო რეკორდსმენმა ლენი კრეიზელბერგმა ცოტა ინერვიული. 200 მეტრზე ცურვისას მთელი გზა წინ კი იყო, მაგრამ ერთი 17 წლის ყმაწვილი, არონ პერსონი აედევნა და ვერაფრით ჩამოიცილა. ბოლო მეტრებმაც გაცხარებულ ჭიშკში ჩაიარეს და კრეიზელბერგმა მაინც მოიგო — 1:57,31. პერსონის დრო 1:57,98 გახლდათ. მესამე ადგილზე გასული ბრაიან უოლტერსი ბოლო იყო, ვინც ორ წუთში ჩაეტია — 1:59,58.

„ტრაიელსის“ სხვა გამარჯვებულებიდან გამოვარჩევთ ტომ დოლანს (200 მ. შერეული სტილით) და ლინდსი ბენკოს, რომელმაც 200 მეტრი თავისუფალი სტილით მოიგო.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ



კრისტი კოუელი



REUTERS ინდიანაპოლისიდან

ლენი კრეიზელბერგი

შვეიცარია

B ჯგუფი
VII ტური
დელეგონი 3:2 ტუნი
კრინსი 0:2 ვინტერტური
სოლოტურნი 0:2 ლოკარნო
იანგ ბოიზი 2:0 ვანგენი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

კოსტა რიკა 2:1 გვატემალა

ამხანაგური მატჩი

ალბანეთი 0:0 კვიპროსი

ქალაქის თავზე



ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიის ცაში სამ ეტაპად მიმდინარეობს დელტაპლანისტთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიაც ასზე მეტი გუნდი მონაწილეობს. ამ გამოგონილი ჩიტის მართვას რომ დიდი ოსტატობა სჭირდება, იოლი მისახვედრია. ზოგი არცთუ მარჯვე პილოტი სამთავრობო შენობათა შუაშიც კი გაიჭედა. და მაინც, როგორც ძია სტალინი იტყოდა, ალპინიზმი (ამ შემთხვევაში დელტაპლანობა, უფრო კოხტად კი ჰენგ გლიდინგი) მამაკაცთა სპორტია.



ჯეიმი საუზმეზე

„ლივერპულის“ ვარსკვლავი ჯეიმი რედნაპი კვლავ დაშავებულია და ისევ ყავარჯნებით დადის. სანამ „ლივერპული“ ოფლსა ღვრის, ჯეიმი და მისი გოგო, პოპ ვარსკვლავი ლუიზა, შუა ლონდონის ერთ ინტერნეტ-კაფეში მისულან საგანგებო საუზმეზე. კაფეში ყოფილან ჯეიმის მამა, „ვესტ ჰემის“ მენეჯერი ჰარი რედნაპი და სხვა საფეხბურთო მოღვაწენი. ეს ინტერნეტ-კაფე განთქმულია იმით, რომ თავისი სპორტული საიტი აქვს, რომელიც გულშემატკივართა შორის მეტად პოპულარულია.

სიდნეის სამყარო



სიდნეი დიდი მონდომებით ემზადება ოლიმპიადისთვის. ოლიმპიადა ხომ მხოლოდ სპორტული შეჯიბრი არ არის. იქ უნდა გაიმართოს მრავალი კულტურული ღონისძიება და შოუ, რათა ამ ქალაქისკენ დაძრული ათასობით ადამიანი მხოლოდ სტადიონს არ იყოს მიჯაჭვული. მაგიდის ჩოგბურთის ჩოგნებით მოცეკვავე ეს გოგო ანსამბლ „მფრინავი გუნდის“ წევრია, ოლიმპიადის დღეებში მას და მის კოლეგებს მოცლა არ ექნებათ. 18 დღეში სხვადასხვა ქვეყნის მოცეკვავენი და მომღერლები 222 წარმოდგენას გამართავენ. თანამედროვე ხელოვნების დარბაზში კი უზარმაზარი გამოფენა, „სპორტული ცხოვრება“ იხსნება. იქ აღბეჭდილი სტენდის სახელწოდება „ადგილობრივ და კუნძულელ ჩაუქთა კედელია“ და იმ ბორიგენ სპორტსმენებს გვაცნობს, რომელთაც სახელი გაუთქვეს ავსტრალიას. ისე კი, გამოფენა „სპორტული ცხოვრება“



ოთხ თვეს გასტანს და სერიოზული და არასერიოზული კუთხითაც დაანახებს დამთვალიერებელს სპორტულ ყოფას.
სიდნეის ქუჩები კი ოლიმპიადის

მოსალოდნელ გმირთა პლაკატებითაა მორთული. ცურვის სენსაცია, 17 წლის იან ტორფი აქ მთავარი გმირია. ყრმა მსოფლიო რეკორდსმენს ოლიმპიურ ოქროებს უწინასწარმეტყველებენ.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge